# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 25 თებერვალი, 2010 წელი.

№36 (6402)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.




## ბროუნის მოძრაობა

- რა შუაშია ოპოზიციის მიერ თბილისის მერობის ერთი კანდიდატის გამოსავლენად პრაიმერის ჩატარების სურვილი რუსულ პოლიტიკასთან მიმართებაში?
- „ბროუნის მოძრაობაა“ თბილისში და როგორც ფოთლები, პოლიტიკოსებიც ისე დაჰქრიან აქეთ-იქეთ!

3



6

## ნაჩუქარ ტრაქტორებს გამგებლები და მათი ნათესავები ეპატრონებიან

## МЕДВЕДЬ-ს გაღიზიანება კი არა, მოფერება უნდა

5



## საქართველო ომს გადაეყრება?

4

## პაატა ბურჭულაძის აღიარება ისრაელში

4





2

## „ერთი კანდიდატი და მთელი თბილისი მისი მხარდამჭერი... საქმე მოგვარებულია“

მე შაირი არ მინდოდა...

## „დაჩაგრული“ თეა და ამჟამად აშკარად მადლობის ღირსი „სიმართლის დრო“



### რამ გააბრაზა სექსში თავისუფლების თაყვანისმცემელი, ყოველივე ქართულისგან კი ფაქტობრივად თავისუფალი „კმარელი?“

**ღმერთი, რჯული, არ ვაპირებდი ამ საკითხზე მასალის მოსამზადებლად კალმის აღებას, მაგრამ ეს ბედის უკუღმართობით გზაგამრუდებული თეა თუთბერიძის (ჩემთვის კი, რა რეგალიებიც არ უნდა მიაკუთვნონ თეუშკის მის დარად მოაზროვნე ამჟამინდელმა მაღალჩინოსნებმა, იგი მაინც ოდენ ასფალტ-კედელ მჩხაპნელად დარჩება) განცხადებამ გადამაწყვეტინა.**

გზაგამრუდებულიო, იმად ვამბობ, რომ, როგორც თავად თეამ განაცხადა „სიმართლის დროის“ გუშინწინდელ გადაცემაში, მისთვის უკეთესი იქნებოდა, საერთოდ არ დაემთავრებინა „სამარცხვინო“ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (მისი გონებრივი „ბაგაჟის“ პატრონი ვერც დაამთავრებდა, „შემოვლითი გზებით“ რომ არ დაემთავრებინებინათ და, ცხადია, განათლების სისტემაში ახლანდელივით „დირექტორთა დირექტორად“ იმუშავებდა კი არა, ბაგა-ბაღის მასწავლებლადაც ვერ გამოდგებოდაძ და მისი ცხოვრებაც თურმე უკეთ წარიმართებოდა, ნორმალური მრჩეველი რომ ჰყოლოდა!

ნორმალური მრჩევლისა რა მოგახსენოთ, მაგრამ თავიდანვე ნორმალური პატრონი რომ ჰყოლოდა, რომელიც დროზე აუწევდა ყურს რაიმე უგვანო საქციელისთვის... თუმცა თავისი ცხოვრებით სავსებით კმაყოფილია, ახლა მისთვისვე იქნებოდა უკეთესი – ოდესმე ხომ განელდება რევოლუციური ეიფორია და წავლენ „ვარდოსნებიც“.

მშობლების აზრი არასოდეს მაინტერესებდა და არც მაინტერესებსო, ჩემთვის ავტორიტეტები არც არსებობდნენ და არც არსებობენო...

**ბრავო, შენ (შენივ აღიარებით) თავისუფალი სექსისა თუ სექსში თავისუფლების თაყვანისმცემელო, სინამდვილეში კი ყველაფრისგან თავისუფალო, რასაც ქართული, მართლმადიდებლური, ტრადიციული, უბრალოდ, მაგრამ მრავლისმეტყველურად, ქალური ჰქვია, ლესბოსელთა თავისუფლება-აღიარების მხარდამჭერო (კვლავ შენივ აღიარებით)...**

უნდა შევჩერდე, რადგან გაზეთის ფურცლებიდან მდედრობითი სქესის წარმომადგენლის ლანძღვა-კრიტიკა, თუნდაც ისეთისა, როგორიც თეა თუთბერიძე გახლავთ, ძალიან მიჭირს. და თანაც, მისი ნაბჟუტურევის ტირაჟირება მკითხველის შეურაცხყოფადაც მიმაჩნია.

ამიტომ ახლა ამ „ლეჩაქოსნის“ განცხადებას გაგაცნობთ, რომელმაც, როგორც მოგახსენეთ, ამაღებინა კალამი:

იხ. 2 გვ.

მოძრაობა

# „ერთი კანდიდატი და მთელი თბილისი მისი მხარდამჭერი... საქმე მოგვარებულია“

**რეპორტაჟი ჭადრაკის სასახლიდან — ნაბიჯი ერთობისკენ**

**ერთობა, გაერთიანება, შეთანხმება – ეს სიტყვები საათნახევრის განმავლობაში რამდენიმე ათეულჯერ გაისმა გუშინ ჭადრაკის სასახლეში, სადაც არასაპარლამენტო ოპოზიციის ნაწილი თბილისის საზოგადოებას შეხვდა.**

დღის პირველის ნახევარზე საკმაოდ მრავალრიცხოვანმა საზოგადოებამ მოიყარა თავი ვერის პარკში. ერთად შეკრებილნი სოლიდური გამომეტყველებით იდგნენ ქართული აკადემიის წევრები, რამდენიმე ცნობილი ადამიანი, აქტიურობდნენ გოგა ხაინდრავა და კოკა გუნცაძე, ღიმილით ეგებებოდნენ ნაცნობებსა და უცნობებს.

პოლიტიკოსთა მოლოდინში ერთად შექუჩულები ვიდეოთ ჟურნალისტებიც. პირველები კობა დავითაშვილი, ზვიად ძიძიგური და კახა კუკავა გამოჩნდნენ. პირველ საათამდე ორი წუთით ადრე მოვიდა ირაკლი ალასანია, რომელსაც ლევან გაჩეჩილაძეც მოჰყვა. ზუსტად პირველზე ნოღაიდელიც გამოჩნდა.

ჭადრაკის სასახლის დარბაზი სრულებითაც არ აღმოჩნდა საკმარისი იქ შეკრებილი საზოგადოებისთვის: გაივსო სცენაც, თუმცა ამდენივე ადამიანი გარეთ დარჩა.

**მოგვიწევს სპორტის სასახლის შევსება... ან ისევ სტადიონი იქნება საჭირო,** – აღნიშნა ლევან გაჩეჩილაძემ და ტაშმაც არ დააყოვნა.

ძალა ერთობაშია. ამ ჭეშმარიტების უკვე მერამდენედ დამტკიცება სცადეს გამომსვლელებმა. თუმცა დარბაზსაც კარგად ჰქონდა გაცნობიერებული, რომ ოპოზიციის ერთიან კანდიდატს ალტერნატივა არ ჰყავს, რომ შეთანხმება უნდა შედგეს ძირითად და მნიშვნელოვან საკითხებზე. ყველა დარწმუნებული იყო, რომ ოპოზიციის გაერთიანება გარანტირებულს გახდის მათ გამარჯვებას.

**ნუკრი ქანთარია**: დღევანდელი დღით მტკიცდება ერთიანობის ძალა. მტერი არ უნდა გავახაროთ და არ გავაბედნიეროთ ჩაშავებული სააკაშვილი. ადგილობრივი არჩევნები უნდა განვიხილოთ, როგორც ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი ხელისუფლების შესაცვლელად. ალასანიამ გადადგა სარისკო, მაგრამ გაბედული ნაბიჯი. მაგრამ ეს არ უნდა გახდეს ალიანსის დაშლის წინაპირობა. ალიანსი არ უნდა დაიშალოს.

ერთიანობისთვის უნდა შედგეს პრაიმერი, სოციოლოგიური გამოკვლევა თუ საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეთანხმება? პირველს ხიფათები ახლავს, მეორე გაცილებით უკეთესია, თუ მას სამი სანდო ორგანიზაცია ჩაატარებს, მესამე კი ყველაზე საიმედოა.



**ნანა კაკაბაძე**: უნდა აღვნიშნო, რომ ირაკლი ალასანიას შემდეგ თბილისმა გამოიღვიძა. დღევანდელი დღე გაერთიანების დასაწყისია.

**ოთარ მელვინეთუხუცესი**: იმის სათქმელად მოვედი, რომ მიყვარხართ და როცა ერთად ვართ, ეს სიყვარული ყველაზე კარგად ჩანს, როცა ერთად ვართ, მაშინ გვაქვს ძალა... ერთი კანდიდატი და მთელი თბილისი მისი მხარდამჭერი... საქმე მოგებულია. თბილისი ერთად არის, ახლა ოპოზიციონერმა კანდიდატებმაც დათმეთ და მხარი ერთს დაუჭირეთ.

**ზაქარია ქუცნაშვილი**: ერთიანობის ინიციატივა უალტერნატივოა. ეს არის მნიშვნელოვანი ავტორიტარიზმის დასამარცხებლად და არა მხოლოდ არჩევნების მოსაგებად. მიმაჩნია, რომ ჯერ სოციალური გამოკითხვებით უნდა გამოვლინდეს ორი კანდიდატი და თუ ისინი ვერ შეთანხმდებიან, მაშინ ჩატარდეს პრაიმერი. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება, ახალი მემარჯვენეები და რესპუბლიკელები გარიყულები დარჩნენ.

**ნონა გაფრინდაშვილი**: არ მჯერა არჩევნების, მაგრამ თუ საზოგადოების ერთიანი განწყობა იქნება, არჩევნების გაყალბების შემთხვევაში, მონაწილეობას მივიღებ ყველა იმ სასარგებლო ქმედებაში, რომელიც ხელისუფლებას შეცვლის.

**კახა მიქაია**: ირაკლი ალასანიას ნაბიჯი, ეს არის ლიდერი პოლიტიკოსის გადაწყვეტილება. ამ გზით ოპოზიციაში მინავლებული მოძრაობა და სიცოცხლე დაიწყო. მოვუწოდებ ფორუმელებს, ბურჯანაძეს, სალომე ზურაბიშვილს – თქვენი მონაწილეობა ამ პროცესში აუცილებელია.

**საზოგადოების წარმომადგენლების გამოსვლების შემდეგ წამყვანმა დავით მაღრაძემ სიტყვა „ოპოზიციურ ელიტას“ გადასცა.**

**ირაკლი ალასანია**: ერთიანი კანდიდატისკენ გადადგმული ნაბიჯიდან უკან არ დავიხევთ. მინდა, თბილისი სიყვარულისა და ერთობის ქალაქად იქცეს. საზოგადოება და პოლიტიკური ძალები ერთად დავდგებით და არ მოვითმენთ კონტროლირებად მედიას, ჩვენი პოლიტიკური უფლებების შელახვას, ბიზნესზე ზეწოლას და, რაც მთავარია, არ მოვითმენთ, რომ თბილისი ერთი კაცის ქალაქი იყოს. არჩევნები არის ჩვენი შანსი. პოლიტიკა რთულია პოლარიზებულ საქართველოში, მაგრამ პოლიტიკოსებს უნდა გვეყოს ძალა, რომ ერთიანობის გზით დავამარცხოთ ხელისუფლება...

**ზვიად ძიძიგური**: ამ დარბაზის მუხტიდან გამომდინარე ვგრძნობ, რომ გამარჯვება შესაძლებელია. რადგან ერთ დაძახილზე ამდენი ხალხი შეიკრიბა, ე. ი. თბილისში საქმე კარგად მიდის. როგორ უნდა შედგეს ერთობა? – ჩემი აზრით, ამისთვის საუკეთესოა პრაიმერი. წინასწარი არჩევნებით გამოვლენილ კანდიდატს ყველა დავემორჩილებით. პრაიმერი ჩატარდება ამ არჩევნებში მონაწილე პარტიების ფულით და არავითარ შემთხვევაში ნოღაიდელის ფინანსებით, მით უფრო – რუსული ფულით.

200 მილიონზე მეტი მისცა სახელმწიფომ უგულავას არჩევნების მოსაგებად. ამიტომაც ჩემთვის მიუღებელია ფორმულა – ყველა მინუს ერთი. პირიქით, ყველა სააკაშვილის წინააღმდეგ!

**კობა დავითაშვილი**: მეშინოდა, ვაითუ ხალხი არ მოვიდეს-მეთქი, მაგრამ მოხვედით და ერთობაც შედგა. მივესალმები ლეიბორისტებს, ფორუმელებს, ბურჯანაძეს, ზურაბიშვილს, რადგან ისინი ხელს არ გვიშლიან. ირაკლი ალასანიამ არაფერი დაკარგა იმით, რომ ერთიანობისკენ ნაბიჯი გადადგა. ლევან გაჩეჩილაძის ძალისხმევის გარეშე ერთობა ვერ შედგებოდა: ყოჩაღ, ლევან! რაც უნდა განაწყენებული იყვნენ ჩვენზე „ახალი მემარჯვენეები“ და „რესპუბლიკელები“, თუნდაც ღალატი დამაბრალონ, ცუდს მათზე ვერასოდეს ვიტყვი, მათი დამსახურების გამო. მუხლმოდრეკით ვევედრები, შემოუერთდნენ ამ ერთობას, გთხოვთ, სამშობლოსთვის ერთად დავდგეთ!

**ზურაბ ნოღაიდელი**: გაჩნდა შანსი, რომ საქართველო გაერთიანდება. მარტო გამარჯვება შეუძლებელია, ისე როგორც მარტო ქვეყნის მართვა არის შეუძლებელი. მადლობა ლევანს ერთობის ხელშეწყობისთვის, მადლობა ირაკლი ალასანიას, რომელმაც ერთობის შექმნაში დიდი წვლილი შეიტანა. არჩევნები უნდა მოვიგოთ არა მარტო თბილისში, არამედ მთელ საქართველოში. მოვუწოდებ რესპუბლიკელებსა და მემარჯვენეებს, შემოუერთდნენ ერთობას. პრობლემა მარტო სააკაშვილი არ არის, პრობლემა არის საქართველოს კეთილდღეობა. 2010 საქართველოს გამარჯვების წელი იქნება.

**ლევან გაჩეჩილაძე**: თბილისი ერთობისთვის ყოველთვის მზად არის, მაგრამ აქამდე ერთობისთვის მზად არ იყო ოპოზიციური სპექტრი. ამიტომ ბრძოლა უნდა გაგრძელდეს „დაყავი და იბატონეს“ წინააღმდეგ. გაძლევთ გარანტიას, რომ ყველა ნაბიჯისთვის მზად ვარ. იმისთვისაც კი, თუ ვინმე მეტყვის, ამ პროცესებს ჩამოვშორდე. მაგრამ მაშინ დამანახვოს სხვამ, რომ ის გააგრძელებს. მიდი, იბრძოლეთ და მე ერთ ჯარისკაცად გამოგყვებით.

* * *

**ნაწილობრივ ერთიანობის დემონსტრირება შედგა. სცენაზე გვერდიგვერდ იდგენ თბილისის მერობის რეალური და პოტენციური კანდიდატები, რომლებიც ერთობაზე ბევრს ლაპარაკობდნენ. პოლიტელიტა ხვალიდან მოლაპარაკების საერთო მაგიდას მიუჯდება და ცარიელ ადგილებსა და ღია კარს დატოვებს ერთობის მსურველებისთვის.**

**ვინ იქნება ერთიანი კანდიდატი და როდის გახდება ცნობილი ამ მექანიზმებზე და მექანიზმების კომბინაციაზე უკვე ადვილად შევთანხმდებით, ირწმუნება ოპოზიცია. ჯერჯერობით, პრაიმერის მომხრეებად რჩება ნოღაიდელი-ძიძიგური-დავითაშვილი, სოციოლოგიურ გამოკვლევებს ენდობა ალასანია, ხოლო პოლიტიკური შეთანხმების მომხრეა სამოქალაქო საზოგადოება; მაგრამ პასუხი მთავარ კითხვაზე – ამ ყველაფერზე რას ფიქრობს დანარჩენი თბილისი, ეს ყოველივე მხოლოდ 30 მაისს, არჩევნებზე გაირკვევა.**

**თეა მოსია**

**ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.**

მე შაირი არ მინდოდა...

# „დაჩაგრული“ თეა და ამჟამად აშკარად მადლობის ღირსი „სიმართლის დრო“

(პირველი გვერდიდან)

**„სიმართლის დრო“, რომელშიც მონაწილეობა კონკრეტული მიზნის გამო მივიღე, მნიშვნელოვნად იქნა დამახინჯებული საპატრიარქოსა და ხელისუფლების პირდაპირი დაკვეთით. რაც კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ საქართველოში პროფესია ჟურნალისტი და ზოგადად, მედიასაშუალებები, მძლავრ ზეწოლას განიცდიან რელიგიური ფუნდამენტალისტებისა და სახელმწიფო მოხელეების მხრიდან... გადაცემაში მე მომიწია ვრცლად მესაუბრა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის შესახებ და აღმენიშნა რომ „კგბ“-ს აგენტი, ჩემი სულიერი მოძღვარი ვერასდროს იქნებოდა, რადგან მთელი მისი საქმიანობა არის აბსოლუტურ წინააღმდეგობაში მისივე წინამორბედი უწმინდესი პატრიარქების ამბროსი ხელაიასა და კირიონ საძაგლიშვილისა. ეს და მსგავსი კომენტარები ჩემი მხრიდან პასუხი იყო წამყვანის კითხვებზე, რომელიც თავად იჩენდა ინიციატივას ესაუბრა მისთვის და საზოგადოებისთვის საინტერესო თემაზე. როგორც ჩანს, ამ გადაცემის სრული სახით გაშვება ხელისუფლებისთვის წარმოადგენდა ძალიან დიდ დისკომფორტს, რადგან ასეთ შემთხვევაში საპატრიარქო აამოქმედებდა იმ ბერკეტს, რისიც ხელისუფლებას ძალიან ეშინია, მით უფრო მოახლოებული არჩევნების ფონზე...**



**„მოვითხოვ დაუმახინჯებელი ფორმით გადაიცეს გადაცემა, წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებული ვიქნები სასამართლოს მივმართო და ამ გზით მოვითხოვო ტელეკომპანია „იმედის“ დავალდებულება ხელახლა გაუშვას გადაცემის სრული ჩანაწერი“.**

რა უნდა ვთქვა ამის შემდეგ?

ალბათ, არაფერი, რადგან, ჯერ ერთი, მართლაც, არ გათეთრდების ყორანი. და მეორე, რაც მთავარია: **თეა თუთბერიძეზე ლაპარაკი არც ღირს და არც შეიძლება, რადგან, როგორც იმ გადაცემაში თავად განაცხადა, თავისი სკანდალური განცხადებები იმისთვის სჭირდება, რომ საზოგადოებამ იგი არ დაივიწყოს.**

**ეს არის მისთვის მთავარი, თორემ თეუშკის „ბრძნულ“ აზრებს მისი უახლოესი ორი მხარდამჭერიც რომ არ უჭერს მხარს, რომლებიც თავად მოიყვანა გადაცემაში, ყველამ ვნახეთ.**

ჰოდა, მეც რად შევუწყო ხელი მის „პოპულარობას“?

ერთსლა ვიტყვი: ამ ჯერზე დიდი მადლობა ვარდების რევოლუციის შემდეგ გარუსთავორებულ „იმედს“ და მის მართლაც მარგინალურ „სიმართლის დროს“.

რატომ?

„არასრული და დამახინჯებული“ სახით გადაიცაო ჩემი გამოსვლა, – ჯავრობს განცხადებაში „დირექტორთა დირექტორი“.

ჰოდა, მადლობა „იმედს“ სწორედ იმისთვის, რომ მან გუშინწინდელ „სიმართლის დროში“ ტელეობიექტივის წყალობით აშკარად დაგვანახვა ერთი რამ: **ახლოდან, ფართო პლანით, „სრულად და დაუმახინჯებლად“ ნაჩვენებ თეა თუთბერიძის სახეს იოტის ოდენადაც არ ეტყობოდა ინტელექტის ნატამალიც კი (შინაგანი ინტელექტი და ქართული ენის ცოდნა თუ მართლწერის კულტურა კი მისივე განცხადებითაც კარგად ჩანს)!**

გუშინწინდელმა „სიმართლის დრომ“, განსაკუთრებით კი თეუშკისთვის საბედისწერო ბოლო კითხვამ, ერთ რამეშიც დაგვარწმუნა: რომ არა „კმარა“, თეა თუთბერიძე, მისივე მტკიცების მიუხედავად, დღეს მართლაც არაფერი იქნებოდა.

**არც არის, თუ „თავისუფლების ინსტიტუტისა“ და ვარდოსანთა მიერ „რევოლუციური დამსახურების“ გამო მისთვის ნაჩუქარ დიპლომ-თანამდებობას არ ჩავთვლით.**

**რუსლან რუსია**

ერიჰააა!

# გივიიი, რატომ არ წაგიყვანეს უკრაინაში?

**დღეს ვიქტორ იანუკოვიჩის პრეზიდენტად კურთხევა, ანუ ინაუგურაცია ჩვეული ზარზეიმით გაიმართება კიევში. გუშინ კი საქართველოს დელეგაცია უპატრონო ძაღლივით, ყურებჩამოყრილი გაემგზავრა უკრაინაში. პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე და ვიცე-სპიკერი მიხეილ მაჭავარიანი... პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილისა და, რაც მთავარია, ქართველთა უმთავრესი დამრტყმელი ძალის, პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის ხელმძღვანელის, სწორუპოვარი დიპლომატის გივიიი თარგამაძის გარეშე ჩაფრინდნენ უკრაინის დედაქალაქში. ოჰ, ოჰ, ოჰ, როგორი პოლიტიკური შეცდომაა! რა დიდი მიხვედრა უნდოდა, რომ – გივიის ავტორიტეტი მთელ პარლამენტს გადასწონიდა!**



თარგამაძე ხომ, მიხეილ სააკაშვილის დავალებით, ლამის შეეზარდა უკრაინულ-ქართულ ბიზნესს, პოლიტიკას და იულია ტიმოშენკოს. რა მაგის ბრალია, თუ უკრაინის სპეცსამსახურებმა დროულად (ჩვენთვის უდროოდძ გამოავლინეს გივიიის გეგმა-ჩანაფიქრი.

სარწმუნო წყარომ გუშინ ერთი სასიამოვნო ამბავიც გვაცნობა: გივიიი თარგამაძემ, მიშას თხოვნით ვიქტორ იანუკოვიჩი პირველ ოფიციალურ ვიზიტად მოიწვია საქართველოში!

ახლა უნდა ვილოცოთ, რომ იანუკოვიჩმა უარი არ თქვას მოწვევაზე...

აბა შენ იცი, გივიიი!

**თარგო დონეცკელი**

## დუღილი ქართულ პოლიტიკაში

# ბროუნის მოძრაობა

**კვირის დასაწყისში თბილისში ამოვარდნილმა ქარიშხალმა არა მხოლოდ ხეები ამოგლიჯა და სახლები დააზიანა, არამედ პოლიტიკურ ცხოვრებაშიც საკმაოდ დიდი ძვრები გამოიწვია.**

ქალაქის მოქმედმა მერმა და მერობის სავარაუდო სახელისუფლებო კანდიდატმა გიგი უგულავამ ეს სტიქიური მოვლენა თავისი პიარკამპანიისთვის გამოიყენა და მოსახლეობას მიყენებული ზარალის ანაზღაურებას დაჰპირდა, მაგრამ ეს დაპირება, რომელიც სახელისუფლებო ტელევიზიების ეთერში მთელი დღის განმავლობაში ისმოდა, ქარს უკვე „წაღებული“ ჰქონდა. ამ მარტივი მიზეზის გამო მერიის მზრუნველობა, როგორც სხვა მრავალ შემთხვევაში, უბრალო დაპირებად დარჩა.



მაგალითისთვის გეტყვით, რომ ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიასძ ქუჩაზე ქარისგან სახურავდაზიანებული სახლის მცხოვრებლები დახმარების მისაღებად იმავე დღეს მივიდნენ ქალაქის მერიაში, სადაც მათ განუცხადეს, რომ „უკვე დააგვიანეს“ და განცხადებაც არ დაიტოვეს. ძველი თბილისის რაიონის გამგეობამ მოქალაქეების განცხადება კი დაიტოვა, მაგრამ საკმაოდ ბუნდოვანი პასუხი გასცა: **„დაელოდეთ და ერთი თვის განმავლობაში ჩვენს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას შეგატყობინებთ“.**

ძალიან საინტერესოა, როგორ უნდა მოიქცნენ უსახურავოდ დარჩენილი სახლის მცხოვრებლები, ამ ერთი თვის განმავლობაში წვიმა რომ მოვიდეს?

ეჰ, ალბათ ისევ კარგი ამინდის, ან მაისში ჩასატარებელი არჩევნების იმედზე უნდა იყვნენ.

რაც შეეხება „კარგი ამინდის დადგომის მოლოდინს“, ანუ მაისის არჩევნების წინა პერიოდს, იქაც საკმაოდ გაურკვეველი „მეტეოროლოგიური ვითარებაა“.

ალაგ-ალაგ ნალექი მოდის, ალაგ-ალაგ ზომიერად ძლიერი ქარი ქრის (დაახლოებით 2-3 შეხვედრა-კონსულტაცია დღეშიძ და ალაგ-ალაგ საინფორმაციო გადაცემებიდან თუ თოქშოუებიდან, სხვადასხვა სახის განცხადებების „სეტყვაც იფრქვევა“.

მოკლედ, რომ ვთქვა, ნამდვილი ბროუნის მოძრაობაა ქართულ პოლიტიკაში.

როგორც ჩანს ირაკლი ალასანია, როგორც იქნა, გაერკვა ქართულ პოლიტიკურ სიტუაციაში და მიხვდა, რომ რესპუბლიკელებთან და ახლებთან ალიანსი მისთვის ძალიან წამგებიანი პოზიცია იყო და „სამშვიდობოზე“ დროულად გასვლა გადაწყვიტა.

არასაპარლამენტო ოპოზიციის ის ნაწილიც, რომელიც არჩევნებში მონაწილეობას ფიქრობს, დროულად მიხვდა თავის შესაძლებლობებს და ალასანიასთან აქტიური კონსულტაციები დაიწყო.

ფაქტობრივად ულიდეროდ დარჩენილი რესპუბლიკელები და ახალი მემარჯვენეები, სანამ რაიმე გარკვეულ გეგმას დასახავენ, მხოლოდ „მკაცრი პოლიტიკური განცხადებებით“ კმაყოფილდებიან და როგორც მათს „დასავლურ იმიჯს“ შეეფერება, საკმაოდ „შეშფოთებულები“ ჩანან.

ეს ყველაფერი გასაგებია და ასეც იყო მოსალოდნელი, მაგრამ დასაშლელად გამზადებული „ალიანსის“ დარჩენილი წევრების გამოსვლებიდან ერთი რამე ვერ გავიგე, ძვირფასო მკითხველო: რა შუაშია ოპოზიციის მიერ თბილისის მერობის ერთი კანდიდატის გამოსავლენად პრაიმერის ჩატარების სურვილი რუსულ პოლიტიკასთან მიმართებაში?

რა აქვს საერთო ნოღაიდელის მიერ პუტინის მიმართ გაკეთებულ „რევერანსებს“ კონსერვატორების მიერ წამოყენებულ პრაიმერის იდეასთან?

როგორც მახსოვს, პრაიმერის იდეა ქართულ ოპოზიციურ სპექტრს ჯერ კიდევ მაშინ ჰქონდა, როდესაც ნოღაიდელის პარტია არამცთუ ოფიციალურად არ იყო დარეგისტრირებული, არამედ თავად ნოღაიდელის ფიქრებშიც არ არსებობდა, პუტინის პარტიასთან გაფორმებულ ხელშეკრულებაზე რომ არაფერი ვთქვა.

ბოდიშს ვიხდი ამ შედარებისთვის, მაგრამ რესპუბლიკელებისა და ახლების მიერ გაკეთებული ასეთი დასკვნები „ერეკლესა და ნიკო მუნჯის ყალიონის“ შედარების მსგავსი უფროა, ვიდრე სერიოზული პოლიტიკოსების განცხადებები.

როგორც მოსალოდნელი იყო, ყოფილმა სახალხო დამცველმა სოზარ სუბარმაც „მკაცრად დაგმო“ ალასანიას „განდგომა“ და რესპუბლიკელების მხარე დაიკავა. მისი ასეთი პოზიცია სრულიად გასაგებია იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ თინა ხიდაშელის არ იყოს, ეგეც კარგი „სოროსელია“.

არც მრეწველთა პარტიის, ანუ ზურაბ ტყემალაძის პოზიცია იყო ძალიან „სკანდალური“ (პრინციპში, როგორც სხვა მსგავსი ერთ, თუ ორკაციანი პარტიების შემთხვევაში, ეს ერთი და იგივეა. ალბათ გახსოვთ ლექსი: „ვამბობთ პარტია და ვგულისხმობთ ვლადიმერ ლენინს“ძ, როდესაც ისიც რაღაც „მანქანებით“ ცდილობდა თბილისის მერის არჩევნებში რუსეთის ინტერესების პოვნას და ამ ინტერესებისაგან ჩვენს დაცვას.

ძალიან მრცხვენია, მაგრამ მაინც ვერ გავიგე, რა შუაშია პრაიმერთან რუსეთი და რა ვქნა?

არადა, სამივე „რუსთავი 2“ ისე იცავდა რესპუბლიკელების ამ აზრს (აი, მე რომ ვერ გავიგე იმასძ, რომ ერთი პირობა ეჭვიც კი გამიჩნდა, ხელისუფლების იმიჯმეიკერები ხომ არ გადაიბირა ამ ხალხმა-მეთქი.

ეგ კი არა და, თვით ქალბატონი ნოვოდვორსკაიაც გამოჩნდა ასპარეზზე და მანაც ჩვენი „იდეოლოგების“ მსგავსად „დაგმო“ რუსეთთან მეგობრული ურთიერთობის დამყარების ნებისმიერი მცდელობა (გულზე ხელი დაიდე, ძვირფასო მკითხველო და გულწრფელად თქვი: ამ ნოვოდვორსკაიას, ხომ სუფთა „თავისუფლების ინსტიტუტის“ აქტიური წარმომადგენლის შესახედაობა აქვს? რა მაგის პასუხია და, ისიც ვერ გავიგე, თუ რატომ ჰგვანან ასე ერთმანეთს ეს „უფლებადამცველები“ძ.

ნინო ბურჯანაძე მყარად დგას თავის პოზიციაზე და ისევ აცხადებს, რომ იმ ფარსში, რომელსაც ეროვნულობასთან არანაირი კავშირი არა აქვს (ანუ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებშიძ, მონაწილეობას არ მიიღებს.

ნათელაშვილი დუმს.

ჯერჯერობით.

„ჯერჯერობით“ იმიტომ, რომ თუ მის „პოლიტიკურ მოძრაობებს“ გავიხსენებთ, სულაც არ არის გამორიცხული, რომ მან თბილისის მერის პოსტის დასაკავებლად თავისი კანდიდატიც წამოაყენოს (თუ „თავისი კანდიდატურა“ არაძ.

ეკა ბესელია კი გენერალური მდივნის პოსტიდან გადადგა.

რადგანაც პარტია „ერთიანი საქართველოსთვის“ აქამდე მხოლოდ ქალბატონი ეკას „ხმით ხმაურობდა“, მისი გადადგომა პარტიისთვის საკმაოდ დიდი დანაკლისია, მაგრამ ქართული პოლიტიკისთვის კი დაახლოებით იმ ანდაზის — „რაღა მკვდარი და რაღა შინმოუსვლელიო“ მსგავსი.

ბევრი რომ არ გავაგრძელო და ქართველი „ექსპერტებისგან“ განსხვავებით 50/50-ზე პრინციპით არ ვილაპარაკო, პირდაპირ ვიტყვი, რომ ალასანიას ალიანსიდან წამოსვლა ოპოზიციის ერთიანი კანდიდატის დასახელების საკმაოდ სერიოზული წინაპირობაა და სავარაუდოდ ის ყოველგვარი პრაიმერის გარეშე თავად იქნება მერობის კანდიდატი.

რაც შეეხება საკრებულოს თავმჯდომარის პოსტზე გაჩენილ „ვაკანსიას“, მას ალბათ ლევან გაჩეჩილაძე „დაიკავებს“ (სუბარი, რომელიც ამ პოსტზე ალიანსიდან მოიაზრებოდა, ალასანიას გარეშე ფაქტობრივად „თამაშგარე“ დარჩაძ.

მოკლედ რომ ვთქვა, „ბროუნის მოძრაობაა“ თბილისში და როგორც ფოთლები, პოლიტიკოსებიც ისე დაჰქრიან აქეთ-იქით!

**გია გაბრიჭიძე**

## სამეცნიერო კონფერენცია

# კავკასიელ ხალხთა ერთობისთვის

**25 თებერვალი წითელი არმიის მიერ საქართველოს ოკუპაციის დღეა, რომელსაც უამრავი უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. „გაწითლების“ მთელი სიმძიმე არც მომდევნო წლებში დაგვკლებია. ის მძიმე ხვედრი, რომელიც საქართველოს ორი საუკუნის განმავლობაში ერგო, დანარჩენმა კავკასიელმა ერებმაც გაიზიარეს. მათი ბრძოლა რუსეთის იმპერიალისტური მიზნების წინააღმდეგ ყოველთვის შეუპოვარი იყო და ის ახლაც გრძელდება.**

თებერვალი მარტო ჩვენთვის არ ყოფილა ტრაგედიისა და სისხლისღვრის დღე. ჯერ კიდევ მაშინ, როცა მეორე მსოფლიო ომში გაცხარებული ბრძოლები მიმდინარეობდა, საბჭოთა მთავრობამ მაინც მოიცალა ჩეჩნებისა და ინგუშებისთვის. 1944 წლის 23 თებერვალს მოხდა მათი მასობრივი დეპორტაცია (რასაც თანამედროვე ცივილიზებული მსოფლიო გენოციდად აღიარებსძ მშობლიური მიწებიდან. არაოფიციალური მონაცემებით სულ გადაასახლეს 650 ათასი ვაინახი, რომელთა მხოლოდ 40 პროცენტი დაბრუნდა უკან ხრუშჩოვის მიერ გამოცემული დეკრეტის წყალობით. იმის მიუხედავად, რომ ეს გადასახლება ნამდვილად იყო ჩეჩენი და ინგუში ერების ფიზიკური განადგურება, გენოციდი, ჯერ კიდევ არ მომხდარა პასუხისმგებელი პირის სსრ კავშირის სამართალმემკვიდრისთვის, რუსეთისთვის სამართლებრივად დადასტურებული ბრალდების ოფიციალურად წაყენება.

ჩეჩნეთის რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტი ჯოხარ დუდაევი 1994 წელს ამბობდა, აღარასოდეს არ უნდა აღვნიშნოთ 23 თებერვალი, რადგან მსგავსი დღე აღარ განმეორდებაო. სამწუხაროდ, მისი ვარაუდი არ გამართლდა. ისტორია განმეორდა და კიდევ მეორდება. მიმდინარეობს გამოუცხადებელი ომი კავკასიელი ერების წინააღმდეგ. ამ გამოუცხადებელ ომში ერთადერთ გამოსავლად კავკასიელთა ერთობა სახელდება, რისთვისაც გადადგმულმა ნაბიჯებმა უკვე გამოიწვია რუსეთის ფედერაციის პოლიტიკური წრეების გაღიზიანება. ამის მიუხედავად, „კავკასიის ფონდმა“, რომლის პრეზიდენტია ცნობილი ისტორიკოსი გივი ლამბაშიძე, და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ, 23 თებერვალთან დაკავშირებით მოაწყვეს მეორე სამეცნიერო კონფერენცია სახელწოდებით „კავკასიის ხალხთა მასობრივი გასახლებები XIX-XX საუკუნეში“.

ვიდრე მომხსენებლები თემებს წარმოადგენდნენ, მოწვეულმა სტუმრებმა სიტყვები წარმოთქვეს. ღონისძიებას ესწრებოდნენ სახელმწიფო მინისტრი დიასპორის საკითხებში პაპუნა დავითაია, პარლამენტარები ნუგზარ წიკლაური და ხათუნა ოჩიაური, აკადემიკოსი როინ მეტრეველი და ექსპერტი კავკასიის საკითხებში მამუკა არეშიძე. ჩეჩნეთის პირველი პრეზიდენტის ჯოხარ დუდაევის ქვრივი ალა დუდაევა, რომელმაც ბევრი ყურადსაღები ამბავი გაიხსენა. აქვე იყვნენ ის ადამიანები, რომლებმაც თავიანთ თავზე მეტ-ნაკლებად გამოსცადეს სამშობლოდან დევნის სიმწარე.

**გივი ლამბაშიძე „კავკასიის ფონდის“ პრეზიდენტი:** — ჯერ კიდევ 1604 წელს მოსკოველი ელჩი ბორის გოდუნოვს რუსეთში ატყობინებდა, საქართველოდან ქართველები უნდა გავასახლოთო. მომდევნო საუკუნეებში ეს თითქოს რუსეთის ოფიციალურ იდეოლოგიად, დოქტრინად გადაიქცა. ეს განხორციელდა ჩეჩნების, ინგუშების, ჩერქეზების მიმართ და ახლაც გრძელდება. რატომ არის, რომ რუსეთი ყოველ ათ წელიწადში გენოციდს უწყობს ჩეჩენ ერს? იმიტომ, რომ ვერაფრით მოახერხა მისი დამორჩილება, ვერ მიაღწია მიზანს — კავკასია კავკასიელების გარეშე. რუსეთს თავისი ზრახვების განხორციელებაში, რა თქმა უნდა, ხელს შეუშლის კავკასიელ ხალხთა დაახლოება და მეგობრობა, თუნდაც მხოლოდ კულტურულ და სამეცნიერო დონეზე. ამიტომაა, რომ ამ ბოლო ხანებში მოიმატა ჩვენ მიმართ კრიტიკულმა გამოსვლებმა, მაგრამ არავინ არ უნდა დაივიწყოს კავკასიის ხალხთა ტრაგედია, რომელიც რუსეთის წყალობით დღემდე გრძელდება.

**მამუკა არეშიძე, ექსპერტი კავკასიის საკითხებში:** — არის შემთხვევები, როცა რუსეთის გაღიზიანება მიზანშეწონილი არ არის, მაგრამ დღევანდელი კონფერენცია იმ შემთხვევათა რიცხვს ნამდვილად არ განეკუთვნება. ჩვენ ახლა ამას ყურადღებას არ უნდა ვაქცევდეთ. ის, რაც რუსეთმა ჩაიდინა, მაგალითად, ჩეჩნების მიმართ ჩრდილო კავკასიაში, დღეს გრძელდება აფხაზებთან. ვეჭვობ, რომ რამდენიმე წელიწადში ეთნიკური აფხაზის ხილვა შესაძლებელი იყოს. არ ვარ იმდენად გულუბრყვილო, ვიფიქრო, რომ ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკების პარლამენტები გამოეხმაურებიან ჩვენს ინიციატივებს, რადგან ისინი პირდაპირ არიან დამოკიდებული რუსეთის მმართველ პარტიაზე. კიდევ ერთი საკითხი, რომელიც ყურადღებას ითხოვს, სოჭის ოლიმპიადაა, რადგან ეკოლოგიურ საფრთხეს თუ არ გავითვალისწინებთ, მარტო იმის აღნიშვნაც საკმარისია, რომ იქ პირდაპირ საფლავებზე აგებენ სათხილამურო ტრასებს...

კონფერენციის მსვლელობისას გახმიანდა ორგანიზაცია „ახალგაზრდა კავკასიელების“ ინიციატივა მუჰაჯირობის მოძრავი მუზეუმის შექმნის შესახებ. ამ საკითხებზე მოლაპარაკებები კავკასიელ ხალხთა მეგობრობის საპარლამენტო ჯგუფთან გაგრძელდება.

რაც შეეხება უშუალოდ მოხსენებებს, ისტორიკოსებმა, კავკასიოლოგებმა სულ ხუთი სამეცნიერო მოხსენება წარმოადგინეს — ვაინახთა გასახლება 1944 წელს, გასახლებები კავკასიიდან, ჩერქეზები და რუსეთ-კავკასიის ომი, დაღესტნის ხალხები და მუჰაჯირობა, მუსლიმან მესხთა გასახლების ზოგიერთი ასპექტი. მათში ღრმად, ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით გადმოიცა კავკასიელ ხალხთა 200-წლიანი ტანჯვის სრული სურათი. ეს მოხსენებები „კავკასიის ფონდის“ დაფინანსებით მალე ერთ კრებულად გამოიცემა ქართულ და რუსულ ენებზე.

**დასასრულ სამეცნიერო კონფერენციის მონაწილეებმა, მოწვეულმა სტუმრებმა ასეთი ფრაზაც გაიხსენეს: არ ვგლოვობთ, არ ვივიწყებთ, არ ვნებდებით!**

**ანა წიწილაშვილი**

## მშვიდობისა და კეთილი ნების ელჩი



პაატა ბურჭულაძე მეფისტოფელის როლში, სცენა „ფაუსტიდან“.

# აღიარება ისრაელში

მსოფლიო განმა, გაეროს კეთილი ნების ელჩმა, საქართველოს სახალხო არტისტმა, მრავალი პრემიის ლაურეატმა, საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდ „იავნანას“ სულისჩამდგმელმა, მზრუნველობამოკლებულ, უსახლკარო ბავშვთა და მრავალშვილიან ოჯახთა, აგრეთვე, გამორჩეულ ნიჭიერ სტუდენტთა შემწემ და დიდმა მეგობარმა პაატა ბურჭულაძემ გუშინწინ დაასრულა თითქმის ერთთვიანი გასტროლი თელ-ავივის საოპერო თეატრში...

ჩვენი გაზეთის მკითხველმა იცის, რომ 21 იანვარს თბილისის მთავარ საკონცერტო დარბაზში პაატა ბურჭულაძემ დაუვიწყარი ზეიმი მოუწყო საოპერო ხელოვნების მოყვარულთ და უანგარო შემოწირულობებით კიდევ რამდენიმე ღარიბი თანამემამულე გაახარა საკუთარი ჭერით. თბილისიდან ჩვენი საამაყო მომღერალი, ფაქტობრივად, პირდაპირ ისრაელში გაფრინდა და დაგეგმილ საგასტროლო სპექტაკლებში ჩაერთო.

11 თებერვალს საგანგებოდ დაინიშნა შარლ გუნოს ოპერა „ფაუსტის“ პრემიერა, რომელშიც პაატა მეფისტოფელის მთავარ პარტიას ასრულებდა. მეფისტოფელი, როგორც ეს არაერთხელ უთქვამს პაატას, ერთ-ერთი ურთულესი როლია, რადგანაც გამორჩეული, უნიკალური პერსონაჟია. მეფისტოფელი წინააღმდეგობებით სავსე პიროვნებაა და ამით არის მიმზიდველი. მე კომფორტულად ვგრძნობ თავს ამ როლში, რადგანაც ბევრი რამ ვისწავლე მისგან. ჩვენ ხომ კარგად უნდა ვიცოდეთ როგორ ვიცხოვროთ, რომ საზოგადოების გულწრფელი პატივისცემა დავიმსახუროთ...



თელ-ავივის საოპერო თეატრი

პაატა ბურჭულაძის მეფისტოფელმა, ისევე როგორც პრემიერამდე რამდენიმე დღით ადრე გამართულმა სოლო კონცერტმა, ებრაელი, ქართველი, რუსი და სხვა ეროვნების მაყურებელთა საყოველთაო მოწონება დაიმსახურა. მეგობარ ისრაელელებს გამორჩევით უყვართ პაატა ბურჭულაძე. სპექტაკლის შემდეგ თელ-ავივის საოპერო თეატრი ქუხდა. ფეხზე ამდგარი მაყურებელი არნახული ოვაციით – ტაშით და შეძახილებით აჯილდოებდა 55 წლის მომღერალს (შეგახსენებთ, რომ 12 თებერვალს პაატას დაბადების დღეა)...

პრემიერაზე პაატას მეფისტოფელის მოსასმენად და დაბადების დღის მისალოცად მსოფლიოს 20-ზე მეტი ქვეყნის საოპერო თეატრებიდან მომღერლის მეგობრები და მისი ნიჭის თაყვანისმცემლები ჩამოვიდნენ. აქ იყო საქართველოს 50-კაციანი დელეგაცია, რომლის თითოეულ წევრს გული სიხარულით, თვალები კი ცრემლით ჰქონდა სავსე.

– გამოჩენილი ქართველი მომღერალი ორი უძველესი ერის – ქართველთა და ებრაელთა საუკუნოვანი მეგობრობის სიმბოლოა. ჩვენ მას დიდი სიამოვნებით ვანიჭებთ თელ-ავივის საპატიო მოქალაქის წოდების დამადასტურებელ ოქროს მედალს, – თქვა ისრაელის დედაქალაქის მერმა ბატონმა რონ ჰიულდაიმ პაატას დაბადების დღისადმი მიძღვნილ საგანგებო მიღებაზე, რომელსაც 400-მდე კაცი (მათ შორის ქართული დელეგაცია) ესწრებოდა.

– პაატა ბურჭულაძის გასტროლები და მისი პიროვნებისადმი ისრაელელთა განსაკუთრებული სიყვარული ჩვენი ქვეყნის, ჩვენი ხალხის საერთო გამარჯვებაა, ქართული სახელმწიფოს აღიარებაა. პაატას დიდი ხელოვნება, საერთაშორისო ავტორიტეტი, საქველმოქმედო მოღვაწეობა ნათელი მაგალითია მეგობარ ქვეყნებს შორის კულტურული ურთიერთობის გაღრმავების აუცილებლობისა. როცა პაატას დონის მომღერალს უსმენ, მის განვლილ გზას აანალიზებ, კიდევ ერთხელ რწმუნდები, რომ მშვენიერება, ხელოვნება, ურთიერთთანადგომა, მეგობრობა და სიყვარული, გადაარჩენს მსოფლიოს, – თქვა მიღებაზე საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ისრაელში ბატონმა ვახტანგ ჯაოშვილმა.

ჩვენს სახელოვან მომღერალს და კეთილი ნების ელჩს მისალოცი ადრესი გამოუგზავნა ისრაელის პრემიერ-მინისტრმა ბატონმა ბენიამინ ნეთანიაჰუმ.

რაღა თქმა უნდა, პაატას პატივგების საღამო სახელდახელო კონცერტადაც გადაიქცა, დაუვიწყარ არიებს და რომანსებს მღეროდნენ პაატა და მისი მეგობრები... მეორე დღეს ისრაელის ყველა გაზეთი და წამყვანი ტელეარხი ფართოდ აშუქებდა ამ მოვლენას...

პაატა ბურჭულაძე წლეულს, ზაფხულში კიდევ ერთხელ მიიწვიეს ისრაელში!.. სხვათა შორის, პაატა ერთ-ერთი იყო იმ ვარსკვლავთა შორის, ვინც თელ-ავივის საოპერო თეატრის გახსნაზე (1985 წელს) იმღერა!

პაატა ბურჭულაძის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი „იავნანა“

28 თებერვალს პაატა მშობლიურ თბილისში იქნება. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე მას უმაღლეს ჯილდოს – წმინდა გიორგის ოქროს ორდენს გადასცემს!

3 მარტს რუსთაველის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში საქველმოქმედო ფონდ „იავნანას“ მორიგი გრანდიოზული აქცია გაიმართება... თუმცაღა, ამის შესახებ, ცოტა მოგვიანებით მოგითხროგთ...

**სპარტაკ ქოზულია,**
თელ-ავივი-თბილისი.

## პრესკონფერენცია

# თანამედროვე სტანდარტები მოსამართლეებისთვის

**გუშინ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ კონსტანტინე კუბლაშვილმა ჰარვარდის სკოლის პრაქტიკის მიხედვით პრესკონფერენცია გამართა თემაზე: „თანამედროვე სტანდარტები მოსამართლეებისთვის“.**

**კონსტანტინე კუბლაშვილი, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე:** „გაეროს მიერ ორგანიზებული საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგების მი-




ხედვით, სასამართლოს მიმართ ნდობამ 66 პროცენტს მიაღწია. ამის წინაპირობა იყო იუსტიციის უმაღლეს სკოლაში გამართული სასემინარო კურსი, რამაც თავის მხრივ ხელი შეუწყო სასამართლოს ნდობის ასეთ ზრდას, ასევე – მოსამართლეთა მაღალი კვალიფიკაცია და პროფესიონალიზმი.

2006 წლიდან დაწყებული, უცხოელ მოსამართლეებთან ერთად სემინარებს კითხულობდნენ: მიხეილ გოგიშვილი და მაია სულხანიშვილი, რომლებსაც დიდი გამოცდილება აქვთ ამ კუთხით. ეს კურსი ჩამოვაყალიბეთ სპეციალური ნაშრომის სახით, რომელიც ეფუძნება ქართული სასამართლოს გამოცდილებასა და კომუნიკაციისა და კონფლიქტების მართვის საკითხებში მსოფლიოში აღიარებულ მეთოდებს. ამ უნარით დაჯილდოებულ მოსამართლეებს, სოციალური კომპეტენციის გამოყენებით, შეუძლიათ მხარეებს შორის კომუნიკაცია, მათ ეძლევათ საშუალება, გამოხატონ საკუთარი პრობლემები და ინტერესები სასამართლოს სხდომაზე“...

პრეზენტაციაზე წარადგინეს ჰარვარდის უმაღლეს სკოლაში მიმდინარე სემინარების შემაჯამებელი წიგნი, რომელიც უზენაესმა სასამართლომ მოამზადა. კუბლაშვილის თქმით, წიგნში განხილულია დეტალები, თუ როგორ უნდა ესაუბროს მოსამართლე პროცესის მონაწილეს, რომელიც საკუთარ პოზიციას გარკვევით ვერ აყალიბებს, ან როცა პიროვნება პროცესზე საკუთარი პრობლემებით გაღიზიანებულია, მოწინააღმდეგე მხარეზე კი – გაბრაზებული.

„წიგნის ძირითადი ნაწილი მოსამართლის მიერ დარბაზის მართვის პროფესიულ სტანდარტს ადგენს. აქამდე მოსამართლის მთავარ ცოდნად მიჩნეული იყო მხოლოდ დავის იურიდიული საკითხების გადაწყვეტა. მოსამართლე კი, რომელსაც ემოციებით დატვირთული პროცესების მართვა უწევს, მარტო იურიდიული საკითხების ცოდნით მხარეებთან წარმატებული ურთიერთობის დამყარებას ვერ უზრუნველყოფს“, – დასძინა კუბლაშვილმა.

**თინათინ ბორცვაძე**

## უცხოური პრესიდან

# საქართველო ომს გადაეყრება?

**მ. სააკაშვილი დაგვემუქრა სარჩელით საერთაშორისო სასამართლოში 40 მილიარდი დოლარის ასანაზღაურებლად, რომელიც თითქოს მის ქვეყანას მიადგა 1991 წლიდან. შემდეგ პრეზიდენტმა მ.მედვედევმა საქართველოს ლიდერს „პერსონა ნონ-გრატა“ უწოდა... ეს რა, მორიგი პოლიტიკური საარტილერიო მომზადებაა ახალი სამხედრო შეტაკების წინ?**

**ო.სმირნოვი, ყაზანი**

ჩვენი გაზეთის მიერ გამოკითხული ექსპერტები დარწმუნებული არიან: მ.სააკაშვილის სარჩელი არის მხოლოდ სარეკლამო სვლა, რათა ხელისუფლება შეინარჩუნოს. საქართველოს მოსახლეობა თავადაც არ არის აღტაცებული თავისი პრეზიდენტით, და იგი ავლენს თავის აქტიურობას. „ვერავითარ წინასწარ პირობებს ახალი ომისთვის ვერ ვხედავ, – მიაჩნია სერგეი კარაგანოვს, საგარეო და თავდაცვითი პოლიტიკის საბჭოს მდივანს. – ჯერ კიდევ ორი წლის წინათ დასავლეთი მას მიანიშნებდა ყოველმხრივი დახმარების შესახებ, მაგრამ ამჟამად საქართველოს პრეზიდენტი, ფაქტობრივად, საერთაშორისო იზოლაციაშია. ამიტომ რუსეთისთვის უკეთესი იქნებოდა, არ მიაქციოს ყურადღება სააკაშვილის თავდასხმებს“.



„დასავლელმა პარტნიორებმა სააკაშვილს ულტიმატუმი წაუყენეს: თუ წარმოიქმნება ახალი პროვოკაციები, იგი იქნება მთლიანად პასუხისმგებელი ყოველივესთვის, – აღნიშნავს სახელმწიფო დუმის დეპუტატი სერგეი მარკოვი. – 2008 წლის ომის შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი კ.რაისი ხალხის თანდასწრებით ლამის დედას აგინებდა სააკაშვილს. მის ალსაზრდელად ჩადიოდა მასთან ვიცე-პრეზიდენტი ჯ.ბაიდენიც.

Аргументы и факты

**ვიტალი ცეპლიაევი**

გლობუსი

# სახელმწიფო ვიზიტი და მისი შედეგები



**გასული პოლიტიკური ცხოვრების დასამახსოვრებელი მოვლენა აფხაზეთის ახლადარჩეული პრეზიდენტის ბაღაფშის (ჩვენ, რომ კრიმინალის და ეგრეთ წოდებულს ვუძახით), პირველი ოფიციალური ვიზიტი იყო მოსკოვში.** აფხაზეთის პრეზიდენტს ისეთი პროტოკოლური დახვედრა მოუწყეს მასპინძლებმა, დიდი ქვეყნის მეთაურს რომ შეშვენოდა. დახვედრის ცერემონიალის შემხედვარეს ნალებმი ილუზია უნდა ჰქონდეს აფხაზეთის დაბრუნების. კრემლის მიზანმიმართული მოქმედებით დაბრუნების თემა უფრო ვირტუალური ხდება, ვიდრე რეალური. ისღა დაგვრჩენია ჩვეული ვიშვიშით გავაყრუოთ თავიც და მსოფლიოც და ერთხელაც არ დავსვათ შეკითხვა — რა გავაკეთეთ იმისთვის, რომ არ დაგვეკარგა?! ცხადია, ყველაფერში საკუთარი თავის დადანაშაულება დიდი ვერაფერი შეღავათია, მაგრამ ოცწლიანი დამოუკიდებელი ცხოვრების დროს დაშვებულ უხეშ შეცდომებში ლომის წილი ქართველ პოლიტიკოსებზე რომ მოდის, ფაქტია. ფაქტია ქართული პოლიტიკური სპექტრის არაგულწრფელი დამოკიდებულება საკუთარი ქვეყნისა და ხალხისადმი. მისი ცრუპატრიოტული განცხადება „დავიბრუნებთ“, თავის დამშვიდება უფროა და მეტი არაფერი. ბაღაფშის მიღების დროს მედვედევმა არ გამორიცხა დაპატარავებულ საქართველოსთან ურთიერთობა, მაგრამ მას შემდეგ პერსონა ნონ გრატა სააკაშვილი რომ აღარ იქნება. ბაღაფშმაც თავის მხრივ დაუმატა — სააკაშვილის ხელისუფლებასთან არავითარი კავშირი არ გვექნებაო. არც ერთ მათგანს გადაკრულადაც არ უთქვამს იმაზე, რაც ქართველ პოლიტიკოსებს ელანდებათ.

**ასეთ დროს საკვირველია დაბრუნებასთან დაკავშირებული ოპტიმიზმი. რას ეფუძნება ის? ჩემის აზრით მსგავს ოპტიმიზმს ტყუილი ჰქვია, მით უმეტეს, როდესაც არც გუშინ, არც დღეს და არც მომავალში არაფერს ფიქროდი, ფიქრობ და იფიქრებ დასაბრუნებლად.**

**ქვეყნის შიგნით და გარეთ მცხოვრებ, ხელისუფლებაში მოსვლის მსურველ ქართველობას შორის განსხვავება ნაკლებია. ქართველი ყველგან ქართველია. ორივეს ახასიათებს ხმამაღალი, უსაფუძვლო განცხადებები. ორივე გამთლიანებით გვიჭედავს ყურებს, თანაც ამ „კეთილშობილური“, პროცესის დროს ერთმანეთს ტალახს ტალახზე აყრიან. ხელისუფლებასაც მეტი რაღა უნდა, მისთვის ჩვეული მზაკვრობით, საკუთარი ტელეარხების მეშვეობით ვინმე ხომერიკის პირით, ხელით და პოლიტიკური უმეცრებით ერთმანეთს ატაკებს ებრალიძე-ხუბუტიას. ხომერიკის ჰაბიტუსის და ჩიქორთული ქართულის შემყურემომსმენ აქაურებს იქაურებზე რომ საბოლოოდ დაეკარგოთ წარმოდგენა, სულაც არ არის გასაკვირი. მაინც მაგრები ვართ ქართველები! მაგრამ მიშა ჩვენზე მაგარია! მერე რა, რომ მედვედევმა პერსონა ნონ გრატად გამოაცხადა. ამაყად ვერ უპასუხა? ქვას ქვაზე არ დავტოვებო, ისევ შევუტევო! შეუტევს, აპა არა?! მერე რა იქნება, ისაა საკითხავი. ამ დაქუცმაცებულ საქართველოში თბილისის გარდა აღარაფერი დარჩება, თუმცა სიტყვით ისიც გაყოფილია.**

ხელისუფლების მიერ საარჩევნო საპენკით გამომძლარი პოლიტიკოსები ისე თავქუდმოგლეჯით გადაეშვნენ თბილისის მერის არჩევნებში, თითქოს ამაში იყოს საქართველოს ხსნა. ქვეყანაში გაბატონებული მძიმე ეკონომიკურ-სოციალური პრობლემების დასაძლევად რას არ კადრულობენ სახელისუფლებო ტელეკომპანიები და ჟურნალ-გაზეთები. დღეჭირი ცხოვრებით გაწამებულ მოსახლეობას 24 საათის განმავლობაში თავს დასჩხავიან პრაიმერიზ, ალიანსებიო, ამომრჩეველთა სიების გადამოწმებაო, გაყალბებული სიებიო, მოღალატეებიო, მკვდარი სულებიო და არის გაუთავებელი ლანძღვა-გინება და გინება. **ისე, როგორც ყოველთვის დამოუკიდებლობის 20 წლის მანძილზე, სიტყვა „მოღალატეს“ ბადალი არ ჰყავს. ყური ისე შეეჩვია ამ სიტყვას, მის გარეშე არსებობა ჭირს. თქვენ წარმოიდგინეთ ქვეცნობიერად გვწყინს კიდევაც, როდესაც მოღალატეს არ გვეძახიან. თუ მოღალატე ხარ, ესე იგი რაღაცას წარმოადგენ, სხვა ხარ, გამორჩეული. ეტყვი მავანს — შე მოღალატეო და ისიც უყოყმანოდ ხურდასავით გიბრუნებს — თვითონ მოღალატეო. ამას წინათ მოღალატეობის დოზის დასადგენად ჩატარებულმა საზოგადოებრივი აზრის გამომკვლევმა ინსტიტუტმა დაადგინა, რომ ამ „საპატიო“ ტიტულს საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ატარებს, მათ შორის ედპ-ეც. სწორედ ეს პარტია იყო, რომელმაც ცხონებული პრეზიდენტისგან პირველმა დაიმსახურა „საპატიო სახელი“. და ამას ქართული დამოუკიდებლობის გარიჟრაჟზე ჰქონდა ადგილი. ცხოვრება წინ მიდის. ამჯერად თვით ედპ არქმევს სხვას მოღალატეს. მოღალატეა ნოღაიდელი — პუტინს ხელი ჩამოართვაო, ბრძანა პირმრგვალმა ქარდავამ და დარაზმა პოლიტიკის უცოდინარი, მწყრალი განათლების მქონე ყმაწვილი ედპ-შნიკები რუსეთთან ურთიერთობის მსურველთა წინააღმდეგ. ყველასგან განწირულ-დაწიხლულ ნოღაიდელს ჰერაკლიონის (ირაკლის) ქვაც აღმართში მიეწია. — ყველასთან გავმართავთ კონსულტაციებს ერთის გარდაო. ეს ერთი იუდა — ნოღაიდელია. მაინც რა ბედი აქვს ნოღაიდელს, ერთი წასვლით ორჯონიკიძის, სტალინის სხვა ცნობილ პიროვნებათა გვერდში არ აღმოჩნდა?! ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, ყველა პარტია შენტრის ნოღაიდელს. შენტრის მის გულად ნაბიჯს, პუტინთან და სხვა ხელმძღვანელებთან შეხვედრას. ალასანიელები მიიჩნევენ, რომ ნოღაიდელი მოღალატეა პუტინთან დალაპარაკებისათვის, მაგრამ გმირია ჰერაკლიონი — ლავროვთან საუბრისთვის. ძნელი დასაჯერებელია დამწყებ და თოთო პოლიტიკოს ალასანიას ისეთი კატეგორიული სიტყვები ეტყორცნა უაღესად გამოცდილი და ათას დიპლომატიურ ბარიერზე გადამხტარი ლავროვისათვის, რომ მას ანგარიში გაეწია. ეჭვი არ მეპარება, რომ სამომავლო ურთიერთობებზე იქნებოდა საუბარი და არა აფხაზეთ-ოსეთის დაბრუნებაზე, ვაზელინი ჰერაკლიონსაც ექნებოდა წაღებული.**

და ვიდრე ოპოზიცია „მოღალატეობის“ პინ-პონგით არის დაკავებული, ხელისუფლება კაიფობს. მიშა მაგარია! მარტო ის თუ მოიფიქრებდა ოპოზიციის ამდაგვარ მოქრთამვას! სხვას ვერაფერს დავარქმევ ას-ასი ათასი ლარის ოპოზიციური პარტიებისთვის ჩამორიგებას ვითომდა ამომრჩეველთა სიის დასაზუსტებლად. ნაკლებად მჯერა, რომ პარტიები ფულს მიზნობრივად მოიხმარენ, რაც შესანიშნავად იცის ბატონმა მიხეილმა. ამდენად სიებიც ძველებური იქნება და, რაც მთავარია, არჩევნების შემდეგ ოპოზიციონერებს სათქმელიც არ დარჩებათ — სიები გაყალბებული იყოო. **მიშა მაგარია! მან კიდევ ერთხელ დაგვიმტკიცა თავისი სიმაგრე, როდესაც მისმა გუნდმა სენსაციური მონაცემები გაგვაცნო ამომრჩეველთა რაოდენობასთან დაკავშირებით. გასული არჩევნებიდან დღემდე ამომრჩევლებმა მილიონზე მეტი მოიმატეს. ნეტავ რა ვიაგრა მიიღო ერმა ასეთი თავბრუდამხვევი დემოგრაფიული ნახტომის მისაღწევად? როგორც ჩანს, გაჭრა ტელეკომპანია „იმედის“ სქესობრივმა პროპაგანდამ. აკი არ ვარგაო?! ჰოდა, დავუნთოთ სანთლები ნანკებს, მოროშკინებს, ბეგაშვილებს, სხვებს, გამრავლებისკენ მიმავალი თავისუფალი აზროვნების დანერგვისთვის. მეტი სექსი, მეტი ამომრჩეველი!** თუმცა ჩინეთი რომ ვიყოთ, არ გამიკვირდებოდა. გასაკვირი ისაა, მათხოვრად ქცეულ საქართველოს მოსახლეობას აქვს კი ამის თავი? ეს სენსაცია ზუსტად ემთხვევა იმ ცხოვრებას, ქართული ტელეკომპანიები რომ გვიხატავენ. პრეზიდენტების ჭკუასუსტი გოგონებით, მხრებში ვიწრო, თეძოებში ფართო, ტანსრულ-ჩაპუტკუნებული, სხვადასხვა კერძების მკეთებელი ყმაწვილები. ვეჭვობ ტელეეკრანზე დამაჯერებლად კერძი დააპურებს დამშეულ მაყურებელს. მთავარია მოჩვენებითი კეთილდღეობა. თუნდაც ისეთი, როგორიცაა ქაჯანის ბადეებაა — „ცხოვრება მშვენიერია“. თუ რა საამურიც არის, ყველა ჩვენგანს ყოველდღიურად ხედავს და გრძნობს — გაფხეკილ ჯიბეში ხელის უშედეგო ფათურით. ტელევიზიის „საამურობა“ ერთსაათიანია. აუტანელი რეალობა 23-საათიანი. თუმცა პრეზიდენტის, მისი ოჯახის, ნათესავების, გარემოცვის, ნაციონალთა მატარებელში მყოფთათვის ცხოვრება მართლაც საამურია. ამ ზანაკში დროსტარება უკიდეგანოა, ძირითადად იქ, ევროპა-ამერიკაში, სადაც სახელმწიფო მოხელეთა მსგავს ქცევას ერთობ ათვალისწუნებით იხილავენ. გასულ კვირას ევროკავშირმა განიხილა სამივლინებო ხარჯების საკითხი და საყვედური გამოთქვა მისი ხელმძღვანელის ბაროზუს მისამართით — 600 000-ზე მეტი ევრო დახარჯაო. სააკაშვილის ხარჯებთან შედარებით ბაროზუს მოკრძალებული თანხები რა მოსატანია, მაგრამ კონტროლის მექანიზმს ყველა ემორჩილება — ბაროზუც და აშშ-ს პრეზიდენტიც, ინგლისის დედოფალიც და ირანის ხელისუფლებაც. იმ ქვეყნებს, სადაც ამას ადგილი არ აქვს — ავტორიტარული, დიქტატორული ჰქვია. ასეთთა რიცხვშია დღევანდელი საქართველო. რამდენმა ქვეყნის პრეზიდენტმა მისცა თავს უფლება ვანკუვერის ოლიმპიური თამაშების გახსნას დასწრებოდა? გაღატაკებული ქვეყნის პრეზიდენტმა მისცა, უფრო მეტიც — ლონდონშიც შეიარა რამდენიმე დღით ლექციის წასაკითხად და პოლიტიკური განცხადებების გასაკეთებლად — როგორ გაბედა ნატოს წევრმა საფრანგეთმა აგრესორი რუსეთისთვის საბრძოლო გემის „მისტრალის“ მიყიდვაო. ამ საკითხთან დაკავშირებით სააკაშვილის ხელშეწყობით დიდი ხანია აგორებულია ბანსჯა-კრიტიკა. **სააკაშვილის ისტერიულ ყვირილს ამერიკელმა რესპუბლიკელმა კონგრესმენებმაც ააყოლეს ხმა. ლონდონში გამოსვლის დროს სააკაშვილმა დააშინა ევროპა — გემმიყიდული რუსეთი იოლად დაიპყრობს აღმოსავლეთ ევროპასო.**

**ევროპაში ნაკლებად მოიძებნება პოლიტიკოსი, რომელსაც სჯერა ამ სისულელის. ბევრია, ვისაც მიაჩნია, რომ სწორედ ავანტიურისტული განცხადებებით სურს სააკაშვილს ყურადღების მიპყრობა.** უმადურობად ითვლება სააკაშვილის მხრიდან საფრანგეთის პრეზიდენტის კრიტიკა. რომ არა სარკოზის სწრაფი და გონივრული მოქმედება, რუსეთის ჯარი თბილისში შემოვიდოდა და სააკაშვილის ჭაჭანება არსად იქნებოდა. გამკიცხველი სიტყვების შემდეგ სააკაშვილმა სარკოზისთან საუბარი მოითხოვა. „მისტრალის“ სახიფათოობის თემა პირველად ქრისტიან-დემოკრატებმა გააჟღერეს ლალიაშვილის პირით, პარლამენტარი დაბეჯითებით გვიმტკიცებდა, რომ „მისტრალის“ შეძენით რუსეთი შეამცირებდა საქართველოში დესანტის გადმოსხმის დროს. მთავარია ასეთი რამ თავში არ ჩაიდოს რუსეთმა, თორემ 20 წუთში გადმოსხამს თუ ერთ საათში, მნიშვნელობა არ აქვს. „მისტრალის“ რუსეთისათვის შეძენას მხოლოდ ერთი მიზანი აქვს — ახალი ტექნოლოგიის ათვისება. სხვა მხრივ რუსეთს საკუთარი სადესანტო კატარღებიც უხვად ჰყავს და სხვა სახის სამხედრო გემებიც. ცნობისთვის იმასაც ვიტყვი, რომ რაც გადმოსასხმელი იყო, უკვე გადმოსხა, უფრო მეტიც — რუსული არმია დაბანაკებულია თბილისთან და ასე, რომ სავიშვიშოც არაფერია. რაც შეეხება ევროპის მამიდობას, ვერაფერი შეღავათია, გარდა ამისა, ევროპა თვით მიხედავს თავს. და ერთიც, არცთუ უმნიშვნელო რამ. რატომღაც სააკაშვილებს ნატო და ევროკავშირი საბჭოთა კავშირი ჰგონიათ. არც ერთი კავშირი ზესახელმწიფოებრივი არ არის. არც ერთ მათგანს არ აქვს უფლება მიუთითოს მის წევრ სახელმწიფოს რა გაყიდოს და რა იყიდოს. აქედან გამომდინარე ნებისმიერი მათგანი ყიდის და ყიდულობს იმას, რაც მის ინტერესებშია. ეს იარაღის ყიდვა-გაყიდვასაც ეხება. საფრანგეთი რუსეთს ერთ „მისტრალს“ 500 მილიონ ევროდ მიჰყიდის. მოარული ხმების მიხედვით რუსეთს 5 ასეთი გემი ესაჭიროება. თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ თანამედროვე მსოფლიოში იარაღით ვაჭრობა დიდად შემოსავლიანი საქმეა, საფრანგეთმა მსუყე შემოსავალი მიიღო. დასავლურ პრესაში დაბეჭდილი სტატიების მიხედვით საფრანგეთ-რუსეთი ქმნის ერთობლივ საწარმოს, რომელიც რუსეთის ერთ-ერთ საზღვაო ქარხანაში დაამზადებს სხვადასხვა მოდიფიკაციის „მისტრალებს“, ისევე, როგორც ავტომანქანა „რენოს“ ან „პეჟოს“, რაც კიდევ უფრო ზრდის საფრანგეთის შემოსავალს. საქართველოს პრეზიდენტის ბავშვური აზრების გამო უარს იტყვის სარკოზი სარფიან გარიგებაზე?

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
**პოლიტოლოგი.**

რეიტინგი

# მართლა ასე გალაღებულნი ვართ ეკონომიკურად?

**ამერიკის შეერთებული შტატების „ჰერითეიჯ ფაუნდეშნის“ მონაცემებით, ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე მაღალია მთელ პოსტსაბჭოურ სივრცეში.** ეკონომიკური თავისუფლების რეიტინგში 183 ქვეყანას შორის საქართველომ 2009 წელს მეტად პრესტიჟული 26-ე ადგილი დაიკავა, რაც წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით 6 პუნქტით მაღალია. აღსანიშნავია, რომ „ჰერითეიჯ ფაუნდეშენი“ ამ სახეობის მონაცემებს მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე ავტორიტეტულ ფინანსურ გამოცემასთან — „უოლ სტრიტ ჟორნალთან“ ერთობლივად აქვეყნებს, რის მიზანი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ეკონომიკური თავისუფლების ხარისხის დადგენაა. ეს ინდექსი ყოველი ახალი წლის დამდეგს წინა წლის მონაცემების მიხედვით ქვეყნდება.

ბოლო ანგარიშით, შარშან საქართველო ეკონომიკური თავისუფლების ძირითად რეიტინგში ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებიდან მხოლოდ ესტონეთს ჩამორჩა, რომელსაც ამ სიაში ორგანიზატორებმა მე-16 ადგილი მიუჩინეს.

რეიტინგის შემდგენელთა აზრით, **საქართველოს საუკეთესო მაჩვენებლები აქვს ბიზნესის და ვაჭრობის სფეროებში, აგრეთვე ფისკალური თავისუფლების მხრივ.** ამასთან, ისინი აღნიშნავენ იმასაც, რომ ქვეყანაში შემცირდა გადასახადები და ბიუროკრატიის დონე, რაც, ჩვენი აზრითაც, სიმართლისგან შორს არ არის, თუმცა ერთობ სადავოა იმის მტკიცება, რომ საქართველოში **მნიშვნელოვნად გაიზარდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინება.** გარდა ამისა, სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს ისიც, რომ ეკონომიკური თავისუფლების რეიტინგის ავტორთა აზრით, **საქართველოს დაბალი მაჩვენებლები აქვს როგორც კერძო საკუთრების სფეროში, ისე კორუფციისგან დაცვის მხრივაც.** ისინი ხაზს უსვამენ იმ მეტად საგულისხმო გარემოებასაც, რომ როგორც ადგილობრივ, ისე უცხოელ ინვესტორებსაც ნაკლებად აქვთ იმის იმედი, რომ **არსებულ სასამართლო სისტემას კერძო საკუთრების დაცვის უნარი შესწევს.**

უნდა ითქვას, რომ ეკონომიკური თავისუფლების მხრივ, „ჰერითეიჯ ფაუნდეშნისა“ და „უოლ სტრიტ ჟორნელის“ ექსპერტთა ერთიანი აზრით, მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების ხუთეული ასე გამოიყურება: პირველ ადგილზეა **ჰონკონგი,** რომელსაც მოსდევენ **სინგაპური, ავსტრალია, ახალი ზელანდია და ირლანდია.** ამასთან, წინა წელთან შედარებით, ეკონომიკური თავისუფლების პარამეტრები გაუარესდა პოსტსაბჭოთა სივრცის მთელ რიგ ყოფილ რესპუბლიკაში.

**კერძოდ, რეიტინგის თანახმად, შარშანწინდელი 152-ე ადგილიდან უკრაინამ 162-ე ადგილზე გადაინაცვლა, სომხეთმა კი 31-ე ადგილის შემდეგ შარშანდელი მონაცემებით 38-ე ადგილი დაიკავა. ამ ნუსხაში აზერბაიჯანს 96-ე პოზიცია უკავია, რუსეთის ფედერაციას კი — 143-ე ადგილი.**

**ოთარ ტურაბელიძე**

დედოფლისწყარო

**დედოფლისწყაროში სააკაშვილის ნაჩუქარი ტრაქტორები 10 ლარად გაიყიდა, რის გამოც გლეხები ტექნიკით სარგებლობას ვერ ახერხებენ. ინფორმაციას ამხანაგობის თავმჯდომარე გურამ ნატროშვილიც ადასტურებს.**

**„შეიქმნა ამხანაგობა და სამი ტრაქტორი ათ-ათ ლარად შევიძინე. შესაბამისი საბუთებიც გავაფორმე“.** — ამბობს ნატროშვილი და დასძენს, რომ ამის მიუხედავად მოსახლეობა მის გამოყენებაზე უარს არ ეუბნება.



როგორც გავარკვიეთ, ამ მხრივ მუნიციპალიტეტის სოფლებში გაცილებით რთული ვითარებაა. სოფელ ფიროსმანის მოსახლეობა ტერიტორიული ორგანოს სპეციალისტს ჯუმბერ სურმანიძეს პრეზიდენტის ნაჩუქარი ტრაქტორების გამოყენებით თანხების გამოძალვაში ადანაშაულებს. მათი თქმით, ნაჩუქარ ტექნიკას რწმუნებულის ჯუმბერ სურმანიძის ძმა ჯამბულ სურმანიძე განაგებს, რითიც სურმანიძეები მოსახლეობას კატასტროფულად მაღალი თანხის გადახდას აიძულებენ. სამთაწყაროში კი ნაჩუქარ ტრაქტორს საბათლოს რწმუნებულის დავით გუნდაძის ბიძაშვილი მერაბ გუნდაძე განკარგავს...

# ნაჩუქარ ტრაქტორებს გამგებლები და მათი ნათესავები ეპატრონებიან

**„ერთი ჰექტარი მიწის დამუშავებისთვის სურმანიძეები გლეხებს 30 ლიტრ საწვავსა და 20 ლარ ფულს სთხოვენ. ასეთი მაღალი ფასები არსად გვინახავს. ამის გამო მიწის დამუშავებას ბევრი ვერ ახერხებს“,** — ამბობს ფიროსმანის მკვიდრი გოჩა შაინიძე.

მას შემდეგ, რაც „ქიზიყის“ რედაქციამ ამ საკითხის მოკვლევა დაიწყო, მეორე დღესვე სოფლის რწმუნებულები გამგებლის მოადგილესთან გელა თეთრაულთან დაიბარეს და ანგარიშის წარდგენა მოსთხოვეს. საბუთებმომარჯვებული რწმუნებულები და ამხანაგობის წევრები გამგებლის მოადგილის კაბინეტში საბუთებს აფრიალებდნენ.

**„გამგებელ ლევან ბაღაშვილს ვთხოვთ, დაინტერესდეს ფიროსმანის რწმუნებულისა და მისი ძმის საქმიანობით. მეტი აღარ შეგვიძლია, ყურადღება მოგვაქციოს, თორემ გაგვატყავეს და სული ამოგვაძრეს... ამხელა ტარიფები სად გაგონილა, თანაც სააკაშვილის ნაჩუქარი ტრაქტორების გამოყენებისთვის... იქნებ პრეზიდენტს აცნობოთ, რომ მისი ნაჩუქარი ტრაქტორებით სოფლის გამგებლები მდიდრდებიან... სააკაშვილმაც გაიგოს, რომ ზოგიერთებს მისი ხელიც აღარ აბრკოლებთ“...** — აღშფოთებას ვერ ფარავს მოსახლეობა და ლევან ბაღაშვილისგან კონკრეტულ ნაბიჯებს ელის.

სამთაწყარო-ფიროსმანის რწმუნებული პაატა ნადირაშვილი განმარტავს, რომ შესაძლოა ტარიფი მაღალია, მაგრამ სხვა ტექნიკასთან შედარებით ადგილობრივებს პრეზიდენტის ნაჩუქარი

**„პრეზიდენტს აცნობეთ, რომ მისი ნაჩუქარი ტრაქტორებით სოფლის გამგებლები მდიდრდებიან და სულს გვაძრობენ!“**

ტრაქტორები ოდნავ იაფი უჯდებათ: „ჩვენთან ძირითადად ვენახებია, მაგრამ ნაჩუქარი ტექნიკა მოსახლეობას შეღავათიან ფასად ემსახურება. როგორც მახსოვს, 20 ლიტრ საწვავს და 20 ლარს ფულს იღებენ თითო ჰექტარში, — ამბობს ნადირაშვილი.

თავად სურმანიძე ამ თემით ჟურნალისტების დაინტერესებამ აალელვა, ის კონკრეტული გვარების დასახელებას მოითხოვდა, თუ ვის გაუჩნდა სოფელში ამ ტექნიკის სიძვირეზე პრეტენზია.

ამ საკითხის ირგვლივ გამგებლის მოადგილემ გელა თეთრაულმა კომენტარი ინტერნეტ-გაზეთ „ქიზიყთან“ გააკეთა:

**„ასეთი ფაქტები ალბათ ხდება, მაგრამ ამის გაკონტროლება ძნელია. გამგეობას შეუძლია ფასების რეგულირებასთან დაკავშირებით მხოლოდ მითითება მისცეს... 2004 წელს დედოფლისწყაროს 12 ტრაქტორი გამოეყო, 2007 წელს კიდევ 7 — პრეზიდენტისგან. ფიროსმანის ზონაში სწორედ პირველად მიღებული ტექნიკა განაწილდა,** — ამბობს თეთრაული.

**ვასილ ჩოუშიანი** (საბათლოს ტრაქტორის მძღოლი): **„ყველაზე იაფად მოსახლეობას მე ვემსახურები. 1 ჰექტარ მიწის დამუშავებაში 25 ლიტრ საწვავს და 15 ლარს იხდიან... სოფელში ჭირია თუ ლხინი, მხოლოდ საწვავს ასხამენ და ნებისმიერი იყენებს.“**

საწინააღმდეგოს ამტკიცებენ ადგილობრივები. საზღვრისპირა სოფლებში მცხოვრები მოსახლეობა ირწმუნება, რომ ნაჩუქარი ტექნიკის დაქირავება მათთვის ხელმისაწვდომი არ არის, კატასტროფულად მაღალი ფასი აქვს და გლეხი მის გამოყენებას ვერ ახერხებს...

**ამ ფონზე, დედოფლისწყაროს გამგეობას რატომღაც საეჭვოდ არ ეჩვენება ის ფაქტი, რომ ფიროსმანში სააკაშვილის ტექნიკას რწმუნებულის სპეციალისტი განაგებს, ხოლო სამთაწყაროში — გუნდაძის ბიძაშვილი...**

# გამგებელი ადგილობრივ ლეიბორისტებს ატერორებს?!

**ახლახან ლეიბორისტული პარტიის დედოფლისწყაროს ორგანიზაციის კოორდინატორი ბესიკ ცისკარაული დედოფლისწყაროს ადგილობრივ ხელისუფლებას თანხების მოტეხვასა და არამიზნობრივ ფლანგვაში ადანაშაულებდა.** ადგილობრივ გაზეთ „ქიზიყში“ გამოქვეყნებულმა ბრალდებებმა დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. როგორც გაირკვა, მასალის გამოქვეყნების მეორე დღესვე, გამგებელმა ლევან ბაღაშვილმა ცისკარაული კაბინეტში დაიბარა და მისგან კონკრეტული არგუმენტების წარმოდგენა მოითხოვა. მალევე გამგებელმა ბრალდებებზე კომენტარიც გააკეთა და ოპოზიციის განცხადებას სისულელე უწოდა. გამგებლის კაბინეტიდან გამოსული ცისკარაული კი უმალ სპეციალური განცხადების წერას შეუდგა, რომელიც ქიზიყის რედაქტორის სახელზე გამოგზავნა და გამოქვეყნება ითხოვა. პირველ განცხადებაში ისინი ადგილობრივი ხელმძღვანელობის ბრალეულობაზეც საუბრობდნენ, თუმცა გამგებელთან გამართული შეხვედრების შემდეგ ცისკარაულმა ტონის შერბილება, ცალკე განმარტებების გაკეთება და საკითხების დაკონკრეტება გადაწყვიტა.

განცხადების წაკითხვის შემდეგ, რჩება შთაბეჭდილება, რომ ცისკარაული თავის მართლებას ცდილობს. ჩანს, ფაქტების მთლად უარყოფას მოერიდნენ, მაგრამ განცხადების გავრცელება მაინც საჭიროდ ჩათვალეს.

ლეიბორისტების შემთხვევაში ბოლო თვეების მანძილზე ეს უკვე მეორე შემთხვევაა. ამას წინათ, ლეიბორისტული პარტიის წევრი გაიოზ ხუციშვილი ადგილობრივ გაზეთში გაკეთებული განცხადების შემდეგ მეორე დღესვე გამგეობაში შევიდა და ბაღაშვილს შეხვდა. იგივე განმეორდა კოორდინატორის ბესიკ ცისკარაულის შემთხვევაშიც...

იმის გათვალისწინებით, რომ ამ პარტიის თითქმის მთელი შემადგენლობა დედოფლისწყაროში არცთუ დიდი ხნის წინათ ადგილობრივ ხელისუფლებას ისე გაურიგდა, მეუღლეების ჩათვლით მნიშვნელოვანი სავარძლებიც დაითრიეს, არც ახლაა გამორიცხული გამგეობის მხრიდან ლეიბორისტებთან დაახლოებისა და შეხმატკბილების მცდელობები უფრო ინტენსიური გახდეს.

როგორ აფასებენ პარტიის ლიდერები გამგებლის მიერ ადგილობრივი ოპოზიციონერების კაბინეტში დაბარების და დატუქსვის ფაქტს, ჩვენ მომხდარის შეფასება ლეიბორისტების ცენტრალურ ოფისში ვითხოვეთ. პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა სოსო შატბერაშვილი მომხდარმა აღაშფოთა და საკმაოდ მწვავე კომენტარი გააკეთა.

**სოსო შატბერაშვილი:** „ვგმობთ კი არა, ეს არის წარმოუდგენელი ფაქტი!... როგორ გაბედა ნაციონალური მოძრაობის ვიღაც ქეციანმა გამგებელმა ლეიბორისტული პარტიის წარმომადგენლის კაბინეტში დაბარება?... იქით უნდა იბარებდნენ გამგებელს და ანგარიშის წარმოდგენას სთხოვდნენ. საერთოდ, ლეიბორისტები გამგებლის დაბარებულზე არსად არ დადიან და მიკვირს, დედოფლისწყაროში რატომ დაემორჩილნენ და რატომ ეახლნენ ბაღაშვილს. დიდი მადლობა, ასეთი ინფორმაცია რომ მოგვაწოდეთ. აუცილებლად შევისწავლით... წერილობითი ფორმით გვაცნობეთ, ყველაფერს მოვიკვლევთ, მათ პარტიაში დავიბარებთ და შესაბამის მსვლელობას მივცემთ. ასე არ შეიძლება“, — აცხადებს შატბერაშვილი.

**ილია მარტყოფლიშვილი,**
**კახეთიდან**

წლები

# ქართული ფიზიოლოგიის „სამოციანელები“

## აკადემიკოსი ვაჟა ოკუჯავა – 80

***გასული საუკუნის მეორე ნახევრის დასაწყისი აღინიშნა ქართული ინტელექტუალურ-შემოქმედებითი ინტელიგენციის ცხოვრების განვითარებაში განსაკუთრებული იმპულსით, რაც გულისცემის დარად შეიგრძნო მთელმა საზოგადოებამ და აღიარა მრავალი წარმატებული მიღწევის სახით ლიტერატურაში, მუსიკაში, მხატვრობაში, თეატრსა და კინოხელოვნებაში ახალი, სოციალისტური რუტინისგან გამოთავისუფლებული, ლიბერალური აზროვნებით შემოსილი შემოქმედება. იმთავითვე მადლიერმა ქართულმა გონებამ მას გამორჩეული ადგილი მიუჩინა ეროვნული კულტურის ისტორიაში სულიერი აღმავლობის „სამოციანი წლების პერიოდის“ ნიშნით, ხოლო მოღვაწეთა იმ ახალგაზრდათა თანავარსკვლავედს, რომელთა სახელებთან იყო დაკავშირებული ამ ჭეშმარიტად რევოლუციური პერიოდის ნაღვაწი, მაღალი პატივი მიაგო „სამოციანელების“ ფილოსოფიურ-ესთეტიკური მიმდინარეობის სახელწოდების მინიჭებით.***

„სამოციანელები“ სოციალისტური საქართველოს წარსულში კომუნიზმის იდეოლოგიის თავსმოხვეული ბოდვის კულმინაციის სიმაღლეზე მხოლოდ უზადო ნიჭიერებისა და ხალხური სიყვარულის წყალობით გადაურჩნენ დაუნდობელი სისტემის რისხვას და ერისთვის ხილვადი გახადეს ლიბერალური ფასეულობებით შემკული თანამედროვე ეროვნული კულტურის ჭეშმარიტი სახე. ქვეყნის საბედნიეროდ აბსოლუტურად იდენტური პროცესი იმავე პერიოდში მიმდინარეობდა ქართული საზოგადოების „ლირიკოსებისაგან“ განსხვავებულ „ფიზიკოსებად“ წოდებულ ნაწილში, კერძოდ, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა წიაღში — ფიზიკაში, ქიმიაში, ბიოლოგიაში, მათემატიკაში, ისევე, როგორც კომუნისტური პროპაგანდის ფხიზელი ზედამხედველობის ქვეშ მყოფ საზოგადოებრივ მეცნიერებებში: ისტორიოგრაფიაში, ენათმეცნიერებაში, ფილოსოფიაში, ეკონომიკაში, იურისპრუდენციაში. ერთბაშად ამოიფრქვა მსოფლიო რანგის კვლევების მუხტი. ეს მოვლენა ღრმად ჩასწვდა ფიზიოლოგიას, რომელიც არანაკლებ იმდროინდელი ხელოვნებისა და ლიტერატურისა, იმყოფებოდა ავტორიტარული სისტემის მიერ გაბატონებული „ფსევდოპავლოვისტური“ მოძღვრების, ანუ „ფიზიოლოგიური სოციალისტური რეალიზმის“ კლანჭებში. სწორედ ამ დროს ქართული ფიზიოლოგიის კრიტიკულ პერიოდში ასპარეზზე მძლავრად შემოაბიჯა დიდი ივანე ბერიტაშვილის მოწაფეებისა და მოწაფეთა მოწაფეების ნიჭიერმა ახალგაზრდულმა ლაშქარმა: ვაჟა ოკუჯავამ, თენგიზ ონიანმა, თეიმურაზ იოსელიანმა, კიაზო ნადარეიშვილმა, ვახტანგ მოსიძემ, არჩილ ასათიანმა, გურამ ბექაიამ, ელგუჯა მონიავამ, საურმაგ ბუთხუზმა, მიხეილ ხანანაშვილმა, რომლებსაც მოუწიათ თითქმის შეუძლებლის გაკეთება — ნეიროფიზიოლოგიის ბერიტაშვილისეული მწვერვალიდან კიდევ უფრო მაღალი მწვერვალების დაპყრობა.

იქიდან დაწყებული მძლავრად აჟღერდა ქართველთა პოლიფონია მსოფლიო ფიზიოლოგიის გრანდების გვერდიგვერდ უჯრედში და ეპილეპტოლოგიაში, სომნოფიზიოლოგიაში, ფუნქციურ რადიო-ბიოლოგიაში, ტვინის ასიმეტრიის მოძღვრებაში, ნევროზოლოგიაში, ნათხემისა და ზურგის ტვინის ფუნქციური რეგულაციის საიდუმლოების ნათელყოფაში.

დღეს სამამულო ნეირომეცნიერება და ნეირომედიცინა მხურვალედ მიესალმება ქართული ფიზიოლოგიის სამოციანელთა „Могучая Кучка“-ს ბრწყინვალე წევრს, აკადემიკოს ვაჟა ოკუჯავას და 80 წლის საიუბილეო დღეს მადლს სწირავს ორი გენიოსი მასწავლებლის — ივანე ბერიტაშვილისა და პეტრე სარაჯიშვილის სამეცნიერო კულტურის ნოყიერ ნიადაგზე ქართული ნეირომეცნიერების აღმშენებლობისათვის, ქართული ექსპერიმენტული ეპილეფტოლოგიის მსოფლიოში მოწინავე პოზიციებზე დღენიადაგ განმტკიცებისათვის.

სამოციანელთა რიგებში ჭარმაგი ვაჟა ოკუჯავა კვლავინდებურად ახალგაზრდული ჟინით, უღალატოდ იღვწის მშობლიური ფიზიოლოგიის ერთგვარად გახუნებული დიდების ასაღორძინებლად. გვწამს, რომ იგი არამცთუ მოესწრება, არამედ თავის გოლიათურ წვლილსაც შეიტანს ამაში.

ქართული ბიომედიცინა ამაყობს თავის სამოციანელებით და უსურვებს მათ შორის ერთ-ერთ წარჩინებულ ვაჟკაცს მხნეგრძელობასა და ნაამაგარი სახელის ღირსეულად ტარებას.

**რომან შაქარიშვილი**

ინფორმაცია

## ქარიშხალმა თბილისს მილიონ ლარზე მეტი ზარალი მიაყენა

**დედაქალაქის მთავრობამ ზარალი უკვე დათვალა. ქარიშხლის შედეგად თბილისისთვის მიყენებულმა ზარალმა 1 მლნ 100 ათასი ლარი შეადგინა**

ქალაქის მერიის ინფორმაციით, სტიქიის შედეგად ქარმა მთლიანობაში 40 ათასი კვადრატული მეტრის ფართობის სახურავი დააზიანა და ასამდე ხე მოგლიჯა.

სარეაბილიტაციო სამუშაოები უკვე დაწყებულია. პირველ ეტაპზე მრავალსართულიანი სახლების გადახურვა მოხდება, რომელსაც დედაქალაქის მთავრობა დააფინანსებს.

რაც შეეხება კერძო სახლების მცხოვრებლებს, როგორც მერიაში განმარტავენ, მათ სახურავების შესაკეთებლად საჭირო მასალები დაურიგდებათ.

თბილისში ყველაზე მეტად სტიქიამ გლდანი-ნაძალადევის და დიდუბე-ჩუღურეთის რაიონები დააზიანა.

ХО-ЭИБ-ЭНО

წლები

# სახელოვანი მამულიშვილი

## აკადემიკოსი სერგი დურმიშიძე – 100

**შესანიშნავი ადამიანის, მრავალმხრივ გამორჩეული დიდი ბიოქიმიკოსის, აკადემიკოს სერგი დურმიშიძის ცხოვრება და მოღვაწეობა სამაგალითოა ყოველი ქართველისათვის. მან დააარსა მცენარეთა ბიოქიმიის ინსტიტუტი, შექმნა თავისი სკოლა, იყო საქართველოში მცენარეთა ბიოქიმიის, ტექნიკური ბიოქიმიის და ქსენობიოქიმიის ფუძემდებელი. მრავალი წლის განმავლობაში ის მოღვაწეობდა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობაზე. იგი იყო დამაარსებელი და პირველი დირექტორი მცენარეთა ბიოქიმიის ინსტიტუტისა, რომელიც მის სახელს ატარებს. იგი წლების განმავლობაში იყო საქართველოს ბიოქიმიკოსთა საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარე.**



აკადემიკოსი სერგი დურმიშიძე

სერგი დურმიშიძე საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი და ქ. თბილისის საპატიო მოქალაქეა.

აკადემიკოსი სერგი დურმიშიძე მრავალი საპრობლემო საბჭოს, კომისიის, სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე და წევრი, სამეცნიერო საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურულ-მხატვრული ჟურნალების სარედაქციო საბჭოების წევრი და შესანიშნავი ნაშრომების ავტორი გახლდათ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში.

**სერგი დურმიშიძე** მკვეთრად გამოირჩეოდა თავისი არაჩვეულებრივი ადამიანური ხიბლით, განჭვრეტის უნარით, მაძიებელი და მახვილი გონებით, დიდი შრომისუნარიანობით, განსაკუთრებული ორგანიზატორული ნიჭით, საქმისადმი პრინციპული მიდგომით და ამავე დროს კეთილი ადამიანური გულით. ყოველივე ამან განაპირობა მისი მეცნიერული მიღწევები, თანამდგომთა და მოწაფეთა სიმრავლე და დიდი სიყვარული..

სერგი დურმიშიძის მეცნიერული კვლევის დიაპაზონი საკმაოდ ფართოა. მსოფლიო აღიარება ჰპოვა მისმა გამოკვლევებმა სპირტული დუღილის ბიოქიმიაში, ორგანული მჟავეებისა და ამინომჟავეების ცვლაში, ფლავონოიდების ქიმიასა და ბიოქიმიაში, ფენოლური ბუნების ქიმიური რეგულატორების მეტაბოლიზმში, ქსენობიოქიმიაში. ასეთი მეცნიერული შედეგებით შეხვდებოდა სახელოვანი მეცნიერი თავის დაბადების 100 წლისთავს, დღეს რომ ჩვენს შორის ყოფილიყო.

მეცნიერული კვლევის შინაარსიანი, რთული და აღმავალი გზა განვლო აკადემიკოსმა სერგი დურმიშიძემ თავისი მოღვაწეობის ექვს ათწლეულში.

პირველი მეცნიერული ნათლობა მან მიიღო ცნობილ ქართველ მეცნიერ პროფესორ ვარლამ ღვალაძესთან, რომელსაც ჩვენი საუკუნის 30-იან წლებში, თავისი ორიგინალური სკოლა ჰქონდა ჩამოყალიბებული ბიოორგანულ ქიმიაში.

სერგი დურმიშიძე ახალგაზრდობიდანვე ეზიარა მოწინავე მეცნიერულ სკოლებს. იგი სხვადასხვა დროს მუშაობდა აკადემიკოსების ლ. პრიანიშნიკოვის, ვ. ბუტკევიჩის, ა. კურსანოვის, ა. ოპარინის ლაბორატორიებში.

მან ბიოქიმიის ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემას – ალკოჰოლური დუღილის ბიოქიმიას მრავალი ორიგინალური გამოკვლევა მიუძღვნა. პირველმა შეისწავლა რძემჟავის გენეზისი ალკოჰოლური დუღილის პროცესში. დაადგინა, რომ დუღილის პროდუქტებს შორის გამოვლენილი კორელაციური დამოკიდებულება პირობით ხასიათს ატარებს და მადუღარ არეში არსებული დუღილის ძირითადი და მეორეული პროდუქტები რთულ და მრავალმხრივ გარდაქმნებს განიცდის საფუვრების სხვადასხვა გენერაციების მიერ, გამოავლინა ამ გარდაქმნების ძირითადი გზები. მისი კვლევის ეს შედეგები საყოველთაოდ აღიარებულია და შეტანილია მრავალ ადგილობრივ თუ უცხოურ სახელმძღვანელოში. დუღილის ბიოქიმიაში ჩატარებულმა ამ გამოკვლევებმა თეორიული საფუძვლები შეუქმნეს ამ პროცესზე დამყარებულ ტექნოლოგიებს.

სპირტული დუღილის ბიოქიმიიდან მან თავისი მეცნიერული ძიება ორგანულ მჟავათა გენეზისზე გადაიტანა. მცენარეებში ორგანულ მჟავათა მეტაბოლიზმის პრობლემა ამ პერიოდიდან მოყოლებული საბოლოოდ დამკვიდრდა სერგი დურმიშიძის კვლევების სფეროში. მან პირველმა გამოავლინა მცენარის ღეროსა და გამტარი ნაწილების ბიოქიმიური როლი მცენარის საერთო მეტაბოლიზმში. ამ მიმართულებით შემდგომმა გამოკვლევებმა საერთო აღიარება ჰპოვა, როგორც ჩვენს ქვეყანაში ისე საზღვარგარეთ.

დიდი საერთაშორისო აღიარება მოუტანა სერგი დურმიშიძეს გამოკვლევებმა ფენოლურ ნაერთთა ქიმიასა და ბიოქიმიაში. პირველად იქნა დადგენილი ვაზის მთრთიმლავ ნივთიერებათა ქიმიური ბუნება, იდენტიფიცირებულია მრავალი პრინციპული მნიშვნელობის ინდივიდუალური ნაერთი. შრომები, რომლებიც ვაზის მთრთიმლავი ნივთიერებების და ანთოციანების ქიმიას მიეძღვნა, შევიდა მსოფლიოს სპეციალურ ლიტერატურაში. სერგი დურმიშიძის ამ შრომებმა დიდი გავლენა მოახდინა ვაზისა და ღვინის ბიოქიმიურ და ტექნოლოგიურ გამოკვლევებზე.

1955 წელს გამოიცა აკადემიკოს ს. დურმიშიძის მონოგრაფია: **„ვაზისა და ღვინის მთრთიმლავი ნივთიერებანი და ანთოციანები“**. დღესაც ეს ნაშრომი სამაგიდო წიგნს წარმოადგენს ფენოლურ ნაერთებზე მომუშავე მკვლევართათვის. უცხოელი მეცნიერების მიერ ამ წიგნის ძირითადი შინაარსი გადაითარგნა და გამოქვეყნდა ამერიკის შეერთებულ შტატებში, საფრანგეთში, იტალიასა და პორტუგალიაში.

დიდი წვლილი მიუძღვის სერგი დურმიშიძეს ფენოლურ ნაერთთა მეტაბილიზმის შესწავლაში. 1952 წელს მან წამოაყენა ჰიპოთეზა ტოქსიკური არომატული ნაერთების ღრმა ჟანგვითი გარდაქმნების შესახებ მცენარეში. ამჟამად ეს ჰიპოთეზა ექსპერიმენტულად არის დადასტურებული. იგი საფუძვლად დაედო ფენოლური ბუნების ნაერთების დეტოქსიკაციის გზების შესწავლას. ეს გამოკვლევები ფართოდ არის აღწერილი ტექნიკური და მცენარეთა ბიოქიმიის სახელმძღვანელოებში, როგორც ჩვენში, ისე უცხოეთში.

აკადემიკოს სერგი დურმიშიძის ინტუიციამ, ფართო ერუდიციამ და დაუღალავმა შრომამ შექმნა სრულიად ახალი მიმართულება ბიოქიმიაში – მცენარეთა ქსენობიოქიმია. დაამუშავა რა მცენარეებში უცხო ნაერთთა დეტოქსიკაციის ახალი ბიოქიმიური კონცეფცია, იგი საფუძვლად დაედო ბიოსფეროს გასუფთავების ბიოქიმიური საფუძვლების შესწავლას. მისი და მისი მოწაფეების მიერ გამოვლენილია გარემოს დამბინძურებლები, როგორიცაა: ალიფატური, არომატული, პოლიციკლური, კანცეროგენული ნახშირწყალბადები, აზოტის ჟანგეულები, ნახშირჟანგი, ამონიაკი და ათობით სხვა ნაერთის გარდაქმნის გზები და ქიმიზმი მცენარეებში. დადგენილია, რომ მცენარეები მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან დამბინძურებლების შთანთქმისა და დეტოქსიკაციის უნარით, რაც შეიძლება გამოყენებულ იქნას და ამჟამად უკვე გამოიყენება ბიოსფეროს გასასუფთავებლად გზატკეცილების გასწვრივ, ქიმიური და მეტალურგიული ქარხნების ტერიტორიების, ქალაქის ტიპის სამრეწველო დასახლებების გეგმაზომიერ-რაციონალური გამწვანებისათვის.

მცენარეებში ქსენობიოტიკების შთანთქმას და გარდაქმნას მიეძღვნა მონოგრაფიები, რომლებიც საქართველოს მეცნიერების ეროვნულმა აკადემიამ გამოსცა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ბატონი სერგი ახალგაზრდებს თავისუფლად უზიარებდა ორიგინალურ იდეებს და აზრებს, მისი ხელმძღვანელობით მცენარეთა ბიოქიმიის – ამჟამად მისივე სახელობის ბიოქიმიისა და ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტში მრავალი მიმართულებაა დამკვიდრებული, მრავალი გამოკვლევაა შესრულებული, მაგრამ იგი მხოლოდ ზოგიერთი შრომის თანაავტორია.

მიუხედავად ამ მოკრძალებისა, ს. დურმიშიძეს 300-ზე მეტი შრომა აქვს გამოქვეყნებული, მათ შორის რამდენიმე ფუნდამენტური მონოგრაფიაა.

მცენარეულ კვლევას ბატონი სერგი კარგად უთავსებდა პედაგოგიურ მოღვაწეობას. 25 წლის განმავლობაში კითხულობდა ლექციებს ორგანულ ქიმიასა და ბიოქიმიაში საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, მეოთხედ საუკუნეზე მეტს ხელმძღვანელობდა მცენარეთა ბიოქიმიისა და ტექნიკური ბიოქიმიის კურსებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიურ ფაკულტეტზე.



აკადემიკოს სერგი დურმიშიძის მასწავლებელი პროფესორი ვარლამ ღვალაძე

მიმზიდველი, ცოცხალი და ღრმად ერუდირებული ლექციები, ხატოვანი სიტყვა ადვილად გასაგებს ხდიდა ბიოქიმიის ურთულეს მცნებებს და პრობლემებს. ამიტომაც იყო მის ლექციებზე მუდამ დამსწრე საზოგადოების სიმრავლე.

დიდია სერგი დურმიშიძის დამსახურება, როგორც მეცნიერების ორგანიზატორისა. 1943-53 წ.წ. იგი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მევენახეობისა და მეღვინეობის ინსტიტუტის დირექტორია. მისი ხელმძღვანელობით ეს ინსტიტუტი ერთ-ერთ მოწინავე სამეცნიერო კვლევით დაწესებულებად გადაიქცა. 1953-54 წლებში სერგი დურმიშიძე საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრია. იგი იყო საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდიუმის ერთ-ერთი უძველესი ხელმძღვანელი. 1955 წლიდან 16 წლის განმავლობაში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს-მდივანი გახლდათ, ხოლო 1972 წლიდან 1988 წლამდე აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი. აკადემიის ერთ-ერთ ხელმძღვანელად თითქმის 30 წლის მუშაობის პერიოდში ბატონი სერგი მრავალი მეცნიერული წამოწყების ინიციატორი და განმახორციელებელია. ამ წლების განმავლობაში ბატონი სერგი ზრუნავდა აკადემიის მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალის გაძლიერებაზე, ქართული მეცნიერების სხვადასხვა დარგების შემდგომ განვითარებასა და გაფართოებაზე, ახალგაზრდა მეცნიერული კადრების ზრდაზე და მათ ხანგრძლივ მეცნიერულ მივლინებებზე ცნობილ სამეცნიერო ცენტრებში.

სერგი დურმიშიძის ფასდაუდებელი დამსახურებაა საქართველოს მცენარეთა ბიოქიმიის ინსტიტუტის ჩამოყალიბება, რომლის კოლექტივის ფორმირება მან ჯერ კიდევ 1956 წლიდან დაიწყო. ინსტიტუტი საბოლოოდ 1971 წელს დაარსდა რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში მისი თავდადებული მუშაობის შედეგად. ეს ინსტიტუტი დღეისათვის თავისი თანამედროვე ექსპერიმენტული ბაზით, მაღალკვალიფიციური კადრებით, რომლებიც უმეტესად ს. დურმიშიძის აღზრდილები არიან, კვლევის ორიგინალური მიმართულებით მოწინავე სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს შორის დგას. ინსტიტუტში წარმატებით ვითარდება ფიზიკო-ქიმიური ბიოლოგიისა და ბიოტექნოლოგიის აქტუალური მიმართულებები. ინსტიტუტს მჭიდრო მეცნიერული ურთიერთობა აქვს მსოფლიოს წამყვან მეცნიერულ ცენტრებთან. ინსტიტუტმა არსებითი გავლენა მოახდინა საქართველოში ბიოქიმიის განვითარებაზე. ბატონი სერგი 12 წელი ხელმძღვანელობდა ინსტიტუტის სპეციალიზებულ საბჭოს. ამ პერიოდში 120-ზე მეტმა ახალგაზრდამ აიმაღლა მეცნიერული კვალიფიკაცია და მიიღო სამეცნიერო ხარისხი. ამ საბჭომ ბატონ სერგის შემდეგ თითქმის 20 წელი იმუშავა და რამდენიმე ათეულ კვალიფიციურ მეცნიერ მუშაკს დაულოცა გზა ბიოქიმიაში, ბიოტექნოლოგიასა და მიკრობიოლოგიაში.

ბატონი სერგი ურთიერთობაში, მეცნიერებაში და ცხოვრების ყველა სფეროში პრინციპული ადამიანი იყო. მასთან მუშაობა, მეცნიერული საკითხების გადაწყვეტა დაუღალავი შრომის გარდა დიდ სიამოვნებასთან იყო დაკავშირებული, რადგან თვითონ იწვოდა და ძალაუნებურად შენც უნდა ანთებულიყავი. ბატონი სერგი თავის იდეებს, აზრებს არასოდეს არ იშურებდა და როგორც წესი, სამუშაოთა უმეტესობის დამთავრებისას თანამშრომლების შრომის თანაზიარი აღარ ხდებოდა. დღესაც ყველა ჩვენგანის საერთო მეცნიერული მიმართულება ძირითადად მის მიერ არის ჩამოყალიბებული. განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ ინსტიტუტის სამეცნიერო მიმართულებები ორიგინალური და ჩვენი ქვეყნისათვის სპეციფიკურია, რაშიც ბატონ სერგის როლი გადამწყვეტია.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ინსტიტუტის წამყვანი თანამშრომლების დიდი უმეტესობა მისი მოწაფეებია, ამავე დროს, მოწაფეების ნაწილი ამჟამად სხვა სამეცნიერო დაწესებულებების სამეცნიერო დანაყოფებს ხელმძღვანელობენ. ამაში ხედავდა ბატონი სერგი მის მიერ ჩამოყალიბებული ინსტიტუტის ერთ-ერთ ძირითად დანიშნულებას – წამყვანი კადრებით რესპუბლიკის სამეცნიერო-სასწავლო ინსტიტუტების მომარაგება.

ბატონმა სერგიმ ინსტიტუტის კოლექტივის ჩამოყალიბება 1956 წელს 2-3 თავისივე მოწაფით დაიწყო – შემდეგში კი მის მიერ შექმნილ ინსტიტუტში სხვადასხვა დროს 400-ზე მეტი თანამშრომელი მუშაობდა, მათ შორის 3 აკადემიკოსი, 4 აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, 26 მეცნიერებათა დოქტორი, 70-ზე მეტი მეცნიერებათა კანდიდატი, რომელთაგან დიდი უმეტესობა მისი აღზრდილია.

მძიმეა ასეთი ადამიანის დაბადების 100 წლისთავს მის გარეშე შეხვდეს ის კოლექტივი, რომელსაც მან სული შთაბერა, წელში გამართა და გზა დაულოცა. სანუგეშოდ ის გვრჩება, რომ ბატონმა სერგიმ თავისი მოწაფეების გულებში უკვდავების ძეგლი დაიდგა, რომლის შექმნასა და ჩამოყალიბებას თავისი შეგნებული ცხოვრების საუკეთესო წლები შეალია.

**გიორგი კვესიტაძე**
**ნოდარ ნუცუბიძე,**
**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსები**

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# საქართველოს დემოკრატია კითხვის ნიშნის ქვეშ დგება

**ანგარიში, რომელიც საქართველოს მთავრობას საინფორმაციო მედიით ქრონიკულ მანიპულირებაში სდებს ბრალს, მისი დემოკრატიული რეფორმების რეპუტაციას ზიანს აყენებს.**

საქართველოს მთავრობას მედიით, განსაკუთრებით კი სატელევიზიო საინფორმაციო მედიით მანიპულირებაში დასდეს ბრალი, რაც პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის, როგორც რეფორმატორის, რეპუტაციას ზიანს აყენებს.

პრესის თავისუფლების დამცველი ჯგუფებისა და ქვეყნის ოპოზიციის ბრალდებები იმ დროს გაისმა, როდესაც საქართველო ევროპაში სასამართლო და პიარ ომს აწარმოებს იმის წინააღმდეგ, რასაც თავად მის ერთ-ერთ არხზე რუსეთის მიერ დაწესებულ ცენზურას უწოდებს.

მიუხედავად იმისა, რომ, გავრცელებული აზრის თანახმად, პრესის თავისუფლების ხარისხი საქართველოში უფრო მაღალი იყო, ვიდრე ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვა უმეტეს ქვეყნებში, ზოგიერთი კრიტიკოსის თქმით, ქვეყნის მედია ახლა ნაკლებად თავისუფალია, ვიდრე ეს 2003 წლის პროდასავლურ „ვარდების რევოლუციამდე“ იყო.

საქართველოს ხელისუფლება დამნაშავეა „საინფორმაციო მედიის ქრონიკულ მანიპულირებაში, განსაკუთრებით ეს სატელევიზიო მაუწყებლობას ეხება“ – ნათქვამია ამ კვირას ჟურნალისტთა დაცვის კომიტეტის (CPJ) ანგარიშში.

სააკაშვილის მიერ „მედიის უწყვეტი მანიპულაცია ანგრევს მისი, როგორც დემოკრატიის მშენებლის, რეპუტაციას“ – აღნიშნულია ანგარიშში.

ორშაბათს ფრანგულმა სასამართლომ უნდა განიხილოს საქართველოს რუსულენოვანი „პირველი კავკასიური“ არხის ბრალდებები, რომელთა თანახმადაც პარიზულმა სატელიტურმა ოპერატორმა Eutelsat-მა დაუთმო რუსულ ზემოქმედებას და არხის მაუწყებლობა საერთაშორისო მასშტაბით დაბლოკა.

სააკაშვილმა Eutelsat-ს „საერთაშორისო პოლიტიკური ცენზურის პირველი სახიფათო პრეცედენტის“ შექმნაში დასდო ბრალი, ხოლო ლონდონში თავის გამოსვლაში მან განაცხადა, რომ მისი მთავრობა “ერთგულია მედიის თავისუფლების“.

მაგრამ Transparency international-ის ნოემბრის ანგარიშში ნათქვამია, რომ – „დღეს ქართული მედია ნაკლებად თავისუფალი და პლურალისტულია, ვიდრე ეს „ვარდების“ იმ რევოლუციამდე იყო“, რომელმაც სააკაშვილი ხელისუფლებაში მოიყვანა.

ქართული ეროვნული ტელეარხების გამო შექმნილი შეშფოთების ცენტრალურ მომენტს მათი მფლობელების საკითხი შეადგენს. ქართველების უმეტესობისთვის სწორედ ტელეარხები არიან ინფორმაციის ძირითადი წყარო.

Transparency international-მა განაცხადა, რომ ქართველები პოლიტიკური ინფორმაციის 96%-ს სატელევიზიო საინფორმაციო გამოშვებების მეშვეობით იღებენ.

„ორ კერძო კომპანიას – „რუსთავი-2“-ს




და „იმედს“ ერთად – მაყურებელთა ორი-მესამედი უყურებს“, – აღნიშნულია ანგარიშში.

კრიტიკოსები ამბობენ, რომ ორივე არხი ძალიან პროსახელისუფლებოა, სააკაშვილისა და სხვა მაღალჩინოსნების მორჩილი, ხოლო მთავრობის ოპონენტები მარგინალიზებული ჰყავთ.

CPJ ევროკავშირის გასული წლის იმ ანგარიშის გაშუქებაზეც მიუთითებს, რომელიც რუსეთთან საქართველოს 2008 წლის ომთან დაკავშირებით მომზადდა.

ანგარიშში ნათქვამია – „ტელეარხები ან სდუმდნენ ანგარიშის დასკვნებზე, ან გადასცემდნენ მხოლოდ იმ დასკვნებს, რომლებიც ქართული მხარისთვის სასურველი იყო“.

„რუსთავი-2“-ისა და „იმედის“ მფლობელთა ბუნდოვანი სტრუქტურა შეშფოთების კიდევ ერთ საბაბს იძლევა: კრიტიკოსები ამტკიცებენ, რომ ორივე არხს ძირითადად მთავრობა აკონტროლებს.

„რუსთავი-2“-ის ძირითადი მფლობელი ოფშორული ფირმა Degson Limited-ია, რომელიც ვირჯინიის კუნძულებზეა დარეგისტრირებული და რომლის აქციონერებიც უცნობია.

დანარჩენ 30 პროცენტს ბიზნესმენი დავით ბეჟუაშვილი – სააკაშვილის მმართველი პარტიის წევრი პარლამენტარი და საქართველოს დაზვერვის სამსახურის ხელმძღვანელის ძმა – აკონტროლებს.

„იმედის“ მფლობელთა ვინაობა კიდევ უფრო ბუნდოვანია.

მაგნატის, ბადრი პატარკაციშვილის პროოპოზიციურად განწყობილი ეს არხი, 2007 წლის ანტისამთავრობო გამოსვლების დროს, პოლიციამ გათიშა. პატარკაციშვილი საქართველოდან ლონდონში გაიქცა, სადაც მოგვიანებით გულის შეტევით გარდაიცვალა.

არხის ამჟამინდელი მფლობელების იდენტობა დავის საკითხია.

საქართველოს უდიდეს ინვესტორთაგან ერთ-ერთმა, არაბთა გაერთიანებული საამიროების საინვესტიციო კომპანიის, Ras al-Khaimah investment Authority (RAKIA)-ს, ხელმძღვანელმა ამ თვეში ინტერვიუში უარყო ის ინფორმაცია, რომლის თანახმადაც მისი ადგილობრივი შვილეული კომპანიებიდან ერთ-ერთმა ეს არხი იყიდა.

მაგრამ ჰოლდინგს, რომელიც ახლა „იმედს“ მართავს, გიორგი არველაძე ხელმძღვანელობს, საქართველოს ეკონომიკის ყოფილი მინისტრი და სააკაშვილის ადმინისტრაციის ყოფილი ხელმძღვანელი.

სააკაშვილი ხშირად მიუთითებს იმაზე, რომ საქართველოს ორ ათეულზე მეტი სამაუწყებლო კომპანია ჰყავს, მათ შორის რამდენიმე ისეთი, რომლებიც მთავრობისადმი უკიდურესად კრიტიკული არიან.

მაგრამ ოპონენტების თქმით, ორი მთავარი ოპოზიციური არხი – „კავკასია“ და „მაესტრო“ მხოლოდ დედაქალაქშია ხელმისაწვდომი და ერთად ბაზრის მარტოოდენ 7 პროცენტს ფლობენ.

„ხელისუფლებას მედიაზე სრული მონოპოლია აქვს და არ არსებობს სარედაქციო დამოუკიდებლობა“, ამბობს დავით გამყრელიძე, ოპოზიციური პარტიის “ახალი მემარჯვენეების“ ლიდერი.

„ვარდების რევოლუციამდე“ სიტყვა ბევრად უფრო თავისუფალი იყო“.

**მაიკლ მაინვილი**

Daily Telegraph



# პრინცესა და დათვი: ევროპის არისტოკრატია ცოცხალია

**საქართველო ცდილობს საკუთარი თავის წარმოჩენას გერმანიაში, ქვეყანაში, რომელიც თავის სავაჭრო კავშირს რუსეთთან სასიცოცხლოდ მნიშვნელოვნად მიიჩნევს, ხოლო ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკას პრობლემურ ქვეყნად აღიქვამს. ასე რომ, ვინ შეძლებს საქართველოს იმიჯის გაუმჯობესებას გერმანიაში ყველაზე უკეთ, თუ არა ისევ თავად გერმანიაში განსწავლული ჰაბსბურგი? როგორც კი ის თავის ნდობის მანდატს მომავალ თვეში პრეზიდენტს წარუდგენს, გაბრიელა მარია შარლოტა ფელისიტას ელისაბედ ანტონია ვონ ჰაბსბურგ – ლოტრინგენი – ავსტრიის იმპერიის ჰერცოგის ასული, უნგრეთის და ბოჰემიის სამეფო პრინცესა ბერლინში– საქართველოს ელჩი გახდება.**

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ამბობს, რომ ასეთი სახელის წინაშე წესით ყველა კარი გაიღება.

ბერლინის დიპლომატიურ სცენაზე გამოჩენილი ფიგურა ვლადიმერ კოტენევია, რუსეთის ელჩი გერმანიაში, დაუოკებელი მაღალი წრის წარმომადგენელი, რომელიც ევროპაში ფაქტობრივად ყველაზე დიდი საელჩოს მმართველია. ქალბატონმა ვონ ჰაბსბურგმა (სახელი, რომელსაც ის უპირატესობას ანიჭებს), მისი ტიტულების მიუხედავად, საეჭვოა კოტენევის ძალისხმევის ნიშნულს მიაღწიოს. თუმცა მას ჯერ კიდევ შეუძლია გერმანელები საქართველოს ევროპულ ფესვებსა და მომავალზე ჩააფიქროს. ლუქსემბურგში დაბადებული და გერმანიასა და ავსტრიაში გაზრდილი პოლიგლოტი ქალბატონი ვონ ჰაბსბურგი ავანგარდისტი სკულპტორია და ლითონზე მუშაობს. ის საქართველოში 2001 წლიდან ცხოვრობს, საქართველოს მოქალაქე გახდა და ენის შესწავლა დაიწყო (რასაც „ყოველდღიურად აუმჯობესებს“, აცხადებს ბატონი სააკაშვილი).

მისი ოჯახის სტანდარტების მიხედვით, დიპლომატია ბერლინში ეგზოტიკურ საქმიანობად არ მიიჩნევა. ჰაბსბურგელი იმპერატორების მემკვიდრეებმა საბჭოთა იმპერიის დაშლის პროცესს ხელი შეუწყვეს, განსაკუთრებით, 1989 წელს ზაფხულში, უნგრეთიდან ავსტრიაში ხალხის მასობრივი გადასვლის ორგანიზებით, რამაც რკინის ფარდაში პირველი დიდი ხვრელი გააჩინა. ქალბატონი ჰაბსბურგის ექვსი დედმამიშვილიდან, მისი ყველაზე უმცროსი და ვალპურგა წამყვანი კონსერვატიული პოლიტიკოსია შვედეთში; მისი ძმა გეორგი უნგრეთში განსაკუთრებულ დავალებათა ელჩია. კიდევ ერთი და – ევროპის პარლამენტში მუშაობდა.

მამამისი ოტო ვონ ჰაბსბურგი, რომელიც ახლა 97 წლისაა, ერთ-ერთი ის იშვიათი გამონაკლისია, რომელსაც ავსტრია-უნგრეთის იმპერია შეიძლება ახსოვდეს (მისი მამა კარლოსი ბოლო იმპერატორი იყო. იმპერია დაინგრა, როდესაც ოტო 6 წლის იყო). ის იმ სამყაროს კოლაფსს არ განიცდის, სამეფო ეტიკეტისგან თავისუფალია და ამბობს, რომ ყველას, ვისაც ამის სურვილი აქვს, „თქვენი უდიდებულესობის“ ნაცვლად, შეუძლია „იდიოტი“ უწოდოს. მისმა ქალიშვილმა შეიძლება აღმოაჩინოს, რომ გერმანიის დიპლომატიური ოქმი გაცილებით შეზღუდულია.

The Economist

## დედამიწის ზურგზე



**ამერიკელმა მასწავლებელმა შეძლო თავიდან აეცილებინა სკოლაში მასობრივი ხოცვა-ჟლეტა**

მათემატიკის მასწავლებელმა დევიდ ბენკემ, რომელიც ადრე კალათბურთელი იყო, გააუვნებლა დამნაშავე, რომელიც მოსწავლეებს ესროდა. მანიაკმა მოასწრო ორი მოზარდის დაჭრა, მაგრამ მათ სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. დამნაშავე დაკავებულია, მოტივი უცნობია.

* * *

**ინტელექტი დამოკიდებულია ტვინის ინტეგრირების უნარზე, განმარტავენ მეცნიერები**

მეცნიერებმა შეძლეს დაედგინათ შესაბამისობა თავის ტვინის გარკვეულ განყოფილებებს, მათ შემაერთებელ ქსოვილებსა და ინტელექტუალობის არსებული თეორიას შორის, რომელსაც „ინტეგრაციის მუქფრონტალურ თეორიას უწოდებენ“. ამ თეორიის თანახმად, ინტელექტი დამოკიდებულია ტვინის უნართან ერთდროულად შეკრიბოს მონაცემების სხვადასხვა ნაკადები.

* * *



**ლატვიის უმაღლესმა სასამართლომ გაამართლა ნეონაცისტი, რომელიც ქვეყანაში ეთნიკურ წმენდას მოითხოვდა**

ანდრის იორდანსი 2008 წელს გაასამართლეს გაეროს ზემოქმედებით. ის აცხადებდა, რომ თუ იმსახურებდა ფაშისტურ ჯარებში და უნდა წაეყვანა ხალხი დასახვრეტად, სიამოვნებით დახოცავდა მათ. ამჯერად იორდანსი გახდება ესესელების ყოფილი ლეგიონერების მარშის ერთ-ერთი მთავარი მონაწილე.

* * *

**კუბაში 85-დღიანი შიმშილობის შემდეგ გარდაიცვალა დისიდენტი, რომელიც გასამართლებული იყო „ძირგამომთხრელი საქმიანობისთვის“**

ორლანდო საპატამ შიმშილობა გამოაცხადა და მოითხოვდა ხელისუფლებისგან, რომ იგი ეღიარებინათ „სინდისის პატიმრად“. ის შედიოდა იმ 75 კუბელთა რიცხვში, რომლებიც ჰავანამ „ამერიკის შეერთებული შტატების ფასიან აგენტებად“ გამოაცხადა და 2003 წლის აპრილში მათ მიუსაჯეს სხვადასხვა ვადით პატიმრობა, 28 წლამდეც კი, არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ შეთქმულების მცდელობისთვის.

* * *

**აშშ-ში აღმოაჩინეს ადრე გამოუკვლეველი დინოზავრების ნაირსახეობა**

პალეონტოლოგებმა გათხრების დროს აღმოაჩინეს ნაკლებად ცნობილი ამ რეპტილიის ორი თავის ქალა. ეს გრძელკისერა ოთხფეხა მცენარემჭამელი დინოზავრები ცხოვრობდნენ ჩვენს პლანეტაზე იურიდან ცარცის პერიოდამდე – 150 წლის წინათ. ეს მეცნიერების დიდი წარმატებაა.



## დიდი ტერორი?

ალექსანდრ ელისეევი

# 1937 წლის გამოცანის ამოხსნა

## „საუკუნის დანაშაული“ თუ ქვეყნის გადარჩენა?

აი სადამდე მიგვიყვანა ნეპმა, რითაც ზოგიერთი ისტორიკოსი და პოლიტიკოსი დღემდე აღფრთოვანებულია. აი, რისი პროლონგაცია უნდოდა ბუხარინს. ასე რომ, ისტორიული სიმართლე, უეჭველია, სტალინის მხარეს იყო, მაშინ როდესაც ბუხარინი საქმეს უდგებოდა, როგორც აშკარა თეორეტიკოსი და კაბინეტური მეოცნებე.

მაგრამ 1928 წელს (მოგვიანებითაც) ეს ყველასთვის ცხადი როდი იყო. ამიტომ ივლისის პლენუმმა გააუქმა პურის ამოღების საგანგებო ზომები, რასაც დაბეჯითებით მოითხოვდა სტალინი. არადა, მხოლოდ მათი საშუალებით შეიძლებოდა პურის მიღება ინდუსტრიულ წინგაჭრისთვის.

ჩვენში მიღებულია გამოვხატოთ საშინელი განწყობა „ანტიგლეხურ ზემოქმედებასთან“ და სოფლისადმი სტალინის პოლიტიკასთან დაკავშირებით. მართლაც, აქ ბევრი არაფერია კარგი. მაგრამ ისიც უნდა გავიგოთ – როგორ მდგომარეობაში აღმოჩნდა ქვეყანა. მრეწველობა სუსტად იყო განვითარებული, არადა მხოლოდ მას შეეძლო მოეცა საქონელი, რაზეც გლეხები სიამოვნებით გაცვლიდნენ ზედმეტ პურს. მაგრამ ეს საქონელი არ იყო. ამიტომ არ იყო პურიც. უპუროდ კი არ იყო მრეწველობის განვითარებაც. შეიქმნა დახშული წრე, საიდანაც სტალინს სოფლის ხარჯზე უნდოდა გამოსვლა.

ის დიდხანს შეგიძლია ლანძღო ამის გამო, მაგრამ სწორედ ასე მიდიოდა ინდუსტრიალიზაცია ბევრ სხვა ქვეყანაში. ინგლისში საერთოდ მთელი გლეხობა აყარეს მიწიდან. გლეხობა იძულებითი წესით გადააქციეს პროლეტარებად, რომლებიც იძულებული იყვნენ მანუფაქტურაში დაეხარჯათ დღეში 16 საათი რაღაც გროშებისთვის. საერთოდ, ინდუსტრია ყოველთვის ვითარდება აგრარული სფეროს ხარჯზე. მთელი პრობლემა კი არის ის, თუ რა ოდენობისაა ეს ხარჯი, რომელსაც ისტორია წარმოგვიდგენს. ვაი რომ, რუსეთში, რომელმაც გამოიარა რევოლუცია და სამოქალაქო ომი, ეს ხარჯი აღმოჩნდა მეტად სოლიდური (თუმცა უფრო ნაკლები, ვიდრე იმავე ინგლისში).

ამ დროს პარტიული ზედა ფენები აგრძელებდნენ ბუხარინისკენ გადახრას. ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო რეზოლუცია, რომელიც ტოვებდა მრეწველობის ზრდის ძველ ტემპებს. ამ რეზოლუციას რატომღაც კომპრომისულს უწოდებენ, მაგრამ თავისი არსით ის სტალინის დამარცხებას ნიშნავდა. მისი კოზირი მაშინ ხომ ფორსირებული ინდუსტრიალიზაცია იყო. და სწორედ ამ „კოზირს“ საკმაოდ უზოდიშოდ ართმევდნენ სტალინს.

სავსებით შესაძლებელია, რომ ბუხარინი მალე მოიპოვებდა გადამწყვეტ გამარჯვებას სტალინზე. მაგრამ მან რამდენიმე შეცდომა დაუშვა. ჯერ ერთი, ბუხარინი დიდხანს ვერ ბედავდა ღიად გამოსულიყო სტალინის წინააღმდეგ, რაც იქნებოდა განაცხადი ამ უკანასკნელის ხელისუფლებიდან გადაყენების შესახებ. ის იფარგლებოდა გაშუალედებული კრიტიკით. „მემარჯვენეებს დაბეჯითებით არ უნდოდათ როგორმე დამსგავსებოდნენ ტროცკისტ-ზინოვიეველთა ნიმუშის ოპოზიციას – მისი ფრაქციონისტული და უზოდიშო მისწრაფებით ხელისუფლებისკენ. ბუხარინს შეეძლო ჩამოეგდო სტალინი უკვე ივლისის პლენუმზე, მაგრამ „მას არ ჰყოფნიდა მებრძოლური თვისებები ამ ბრძოლაში“, – წერს მ.ანტონოვი. – მაშინაც კი, როდესაც მის მიერ მოყვანილმა სახალხო უკმაყოფილების ფაქტებმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს და მან ლამის შეძლო დარბაზის განწყობილების თავის მხარეზე გადმობირება, მას არ წარმოუდგენია კონკრეტული საორგანიზაციო დასკვნები და რამდენიმე საქებარი სიტყვაც კი თქვა სტალინზე. ამაოდ კი არ ადარებდა ტროცკი ბუხარინს შეშინებულ ჯარისკაცს, რომელიც ჩქაროზს გაისროლოს, ხუჭავს თვალებს და ვერ ახვედრებს მიზანში“.

მეორეც, ბუხარინმა წაიფორხილა იმაზე, რომ კერენსკისთან დაიწყო საიდუმლო მოლაპარაკება, ცდილობდა მემარცხენეების მხარდაჭერის მიღებას. მისთვის ეს აბსოლუტურად არ იყო საჭირო. მომხრეები მას ისედაც ეყოლებოდა, არამდგრადებთან კი მათ შეეძლოთ შეექმნათ სავსებით რეალური უმრავლესობა.

ამასთან მემარცხენეებისთვის ბუხარინის პოზიცია არაფრით იყო მისაღები – ისინი სწორედ ფორსირებულ ოპოზიციას უჭერდნენ მხარს. სხვათა შორის, თავის დროზე გარდაქმნის დროინდელი ბევრი ისტორიკოსი გვარიანად დასცინოდა ამასთან დაკავშირებით სტალინს. აიო, ტროცკისტებთან და ზინოვიეველებთან მებრძოლი თავად დადგა მემარცხენეების პოზიციაზეო. „გადაატროცკისტა ტროცკი“. სინამდვილეში სხვაობა პრინციპული იყო. მემარცხენეები სთავაზობდნენ დაეწყოთ ფორსირებული ინდუსტრიალიზაცია 20-იანი წლების შუა პერიოდში, როდესაც ნეპის შესაძლებლობანი ჯერ კიდევ არ იყო რეალიზებული ბოლომდე. ამას გარდა, ისინი ინდუსტრიალიზაციას მჭიდროდ უკავშირებდნენ მსოფლიო რევოლუციას, რომლისთვისაც მხარი უნდა დაეჭირა მსოფლიო პროლეტარიატს. სტალინი კი მსოფლიო რევოლუციას საკმაოდ ცივად ეკიდებოდა, ამჯობინებდა ეფიქრა უწინარეს ყოვლისა რუსეთზე.

ორი ძველი ბოლშევიკის მოლაპარაკების შესახებ მალე გახდა ცნობილი. და კამენევმა იჩქარა, როდესაც სტალინთან ყველაფერი აღიარა, რითაც დიდად დაეხმარა მას. როდესაც პარტიის წევრებმა გაიგეს ბუხარინის მოლაპარაკების შესახებ მაშინ მეტად არაპოპულარულ მემარცხენეებთან, მათს აღშფოთებას საზღვარი არ ჰქონდა. და ბუხარინის დამარცხება მხოლოდ დროის საკითხი იყო, რომელიც „დააჩქარა“ სტალინმა თავისი ძლიერი პარტიული აპარატით.




უკვე 1929 წლის დასაწყისში ბუხარინელები დამარცხდნენ ხელისუფლებისთვის ბრძოლაში და აღიარეს თავიანთი შეცდომები. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავდა იმას, რომ ისინი პოლიტიკურად საშიში აღარ იყვნენ. მათკენ გადაიხარა ინტელიგენციის უპარტიო ფენების სიმპათიები. მათი დამოკიდებულება საბჭოების ხელისუფლებისადმი ყოველთვის საკმაოდ დაძაბული იყო, მაგრამ „მემარჯვენე“ კომუნისტებში მათ დაინახეს ყველაზე ლიბერალური და, ამასთან დაკავშირებით, მისაღები ძალა. 1929-1930 წლებში მთავარი პოლიტიკური სამმართველოს განყოფილებამ გამოავლინა რამდენიმე ოპოზიციური დაჯგუფება, რომელთა დასაყრდენიც სამეცნიერო-ტექნიკური, ჰუმანიტარული და სამხედრო ინტელიგენციის „სპეცნაზები“ იყვნენ. საკითხი შეეხება მრეწველობის პარტიას (ლიდერი – საწარმოო განყოფილების თავმჯდომარის მოადგილე ლ.რაზმინი), მშრომელი გლეხობის პარტიას (ეკონომისტები ა.ვ.ჩაიანოვი და ნ.დ.კონდრატიევი), რსდმ პარტიის მენშევიკური საკავშირო ბიუროს (ნ.სუხანოვი და სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის კოლეგიის წევრი ვ.გრომანი). ამას გარდა, ორგანოებმა აღმოაჩინეს ოპოზიციური ჯგუფი აკადემიურ წრეში და სერიოზული მუშაობა დაიწყეს სამხედრო სპეციალისტებთან დაკავშირებით.

გარდაქმნის დროს ზემოაღნიშნული ორგანიზაციები „ჩეკისტების გამონაგონად“ და „სტალინურ ფალსიფიკაციად“ გამოაცხადეს. მაგრამ რამდენიმე ვითარება გვაიძულებს სერიოზული ეჭვი შევიტანოთ ამაში. ამ ვითარებაზე მიუთითებს ერთ-ერთი ყველაზე ობიექტური „ანტისტალინელი ისტორიკოსი“ ა.ვ.შუბინი. აი, მაგალითად: „...ბრალდებული ვ.ივკოვი მართლაც იმყოფებოდა რსდმ პარტიასთან კავშირში, აწარმოებდა მიმოწერას და სათავეში ედგა რსდმ პარტიის „მოსკოვის ბიუროს“, მაგრამ თავის ჭეშმარიტ კავშირებზე არაფერი უცნობებია“. ესე იგი გამოდის, რომ საიდუმლო მენშევიკური ორგანიზაცია მართლაც არსებობდა, თუმცა გამოძიებამ მაინც ვერ დაადგინა მისი მთელი საიდუმლო.

მაგრამ მთავარია მონაცემები, რომლებიც მიიღეს საბჭოთა ბელადებს შორის მიმოწერის გამოკვლევის დროს. მათგან გამოდის, რომ სტალინმა მართლა იცოდა ფართომასშტაბური ანტისაბჭოთა იატაკქვეშეთის არსებობის შესახებ, რომელიც სპეცებს ემყარებოდა. და არავითარ ფალსიფიკაციაზე არ ყოფილა საუბარი. მაგალითად, 1930 წელს სტალინი მეჟინსკის სწერს: „ძალიან საინტერესოა რაზმინის ჩვენებანი. ჩემი აზრით, მის ჩვენებებში ყველაზე საინტერესო – ესაა საკითხი ინტერვენციის შესახებ საერთოდ და განსაკუთრებით საკითხი ინტერვენეციის შესახებ. გამოდის, რომ გეგმავდნენ 1930 წელს, მაგრამ გადადეს 1931 წლისთვის, 1932 წლისთვისაც კი. ეს, ეტყობა, მნიშვნელოვანიცაა“. გამოდის, რომ ბელადი „დარწმუნებული იყო – რაზმანი რეალური ინფორმაციის მატარებელია, და ძნელად რომ დაიწყებდა მთავარი პოლიტიკური სამმართველოს განყოფილება მის მისტიფიკაციას ასეთ მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით“ („ბელადები და შეთქმულებები“).

რაზმინის ჩვენებებიდან გამოდიოდა, რომ სამრეწველო პარტიას კონტაქტები ჰქონდა ბუხარინის ჯგუფთან. და 1932 წლის სექტემბერში სტალინი მოლოტოვს სწერს: „იმ კომუნისტების პასუხისგებაში მიცემასთან დაკავშირებით, რომლებიც გრომან-კონდრატიევებს ეხმარებიან, თანახმა ვარ, მაგრამ რა ვქნათ მაშინ რიკოვთან (რომელიც უტყუარად ეხმარებოდა მათ) და კალინინთან დაკავშირებით...“

ალბათ, სწორედ რიკოვის კონტაქტები ოპოზიციურად განწყობილ სპეცებთან გახდა კიდეც მისი სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის პოსტიდან გადაყენების მიზეზი. საერთოდ, ჩავუფიქრდეთ სიტუაციას. ბუხარინელები (და თავად ბუხარინიც) უკვე დიდი ხანია განადგურებული იყვნენ და მათ მოინანიეს კიდეც – მაგრამ ერთი ლიდერთაგანი აგრძელებს მთავრობის სათავეში ყოფნას! გამოდის, რომ სტალინი და პოლიტბიურო შესაძლებლად მიიჩნევდნენ მისი ორგანიზატორული შესაძლებლობის გამოყენებას საბჭოთა პარტიულ-სახელმწიფო პირამიდის მწვერვალზე.

მაგრამ აი რიკოვს ხსნიან. გასაგებია, რომ ამისთვის საჭიროა რაღაც სრულიად ახალი ვითარებანი. პრემიერი მართლაც გამოააშკარავეს ანტისაბჭოთა სტრუქტურებთან კავშირში – აი მისი გადადგომის მიზეზიც. მაგრამ მასებს ამ ჭეშმარიტი მიზეზების შესახებ არაფერი აცნობეს – არ სურდათ საუბარი სულ ზევით მიმდინარე ფრონდას შესახებ.

ეს ფრონდა (მისწრაფება წინააღმდეგობისკენ) ძველებურად ძალიან სახიფათო იყო. მაგრამ არანაკლებ სახიფათო იყო ფრონდა არმიაშიც. აქ კი პირველ პლანზეა მ.ნ.ტუხაჩევსკი, ლენინგრადის სამხედრო ოლქის სარდალი. სამხედრო სპეციალისტი, ყოფილი პოლკოვნიკი ნ.კაკურინი იტყობინებოდა იმის შესახებ, რომ უმაღლესი სამხედრო ხელმძღვანელები ხშირად იკრიბებიან და განიხილავენ – როგორ ჩაერთონ სტალინელებისა და ბუხარინელების ბრძოლაში. მისი მონაცემებით, მათი მიზანი იყო „სამხედრო დიქტატურა, რომელიც ხელისუფლებაში მოდის მემარჯვენე გადახრის გავლით“. სამხედრო ბელადად კი არმიელები ტუხაჩევსკის ხედავდნენ. იქნებ ესეც ორგანოების ფალსიფიკაციაა? არა: „კაკურინის ჩვენებანი განსაკუთრებით ღირებული იყო, ვინაიდან, ჯერ ერთი, ის იყო ტუხაჩევსკის თაყვანისმცემელი და ამხანაგი... და მეორეც, ზემოქმედებით არ ყოფილა მიღწეული – თავდაპირველად თავისი გულახდილობა მან გაუმჟღავნა მთავარი პოლიტიკური სამმართველოს მაცნეს, თავის ნათესავ ქალს“ („ბელადები და შეთქმულებები“).

1930 წელს შეშფოთებული სტალინი ამასთან დაკავშირებით რჩევას ეკითხება ორჯონიკიძეს: „იქნებ ტუხაჩევსკი ანტისაბჭოთა ელემენტების ტყვეობაში აღმოჩნდა და კარგად დაამუშავეს ანტისაბჭოთა ელემენტებმა მემარჯვენეთა რიგებიდან. მასალებიდან ასე გამოდის. შესაძლებელია კი ეს? რასაკვირველია, შესაძლებელია, რახან იგი არ არის გამორიცხული. ეტყობა, მემარჯვენეები მზად არიან წავიდნენ სამხედრო დიქტატურაზეც, ოღონდ თავიდან მოიშორონ ცენტრალური კომიტეტი, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, ინდუსტრიის განვითარების ბოლშევიკური ტემპები... ამ ვაჟბატონებს, ეტყობა, უნდოდათ გადაეცათ სამხედროები კონდრატიევებისთვის-გრომანებისთვის-სუხანოვებისთვის. კონდრატიევ-სუხანოვ-ბუხარინის პარტია – ასეთია ბალანსი. მეტი რაღა გინდა...“

რა უნდა ექნათ? დაეპატიმრებინათ შეთქმულები? მაგრამ აი უბედურება – ამის გაკეთება ძალიან რთული იყო. მთავარი პოლიტიკური სამმართველოს განყოფილების უფროსი ვ.რ.მენჟინსკი სტალინს სწერდა: „დაჯგუფების მონაწილეთა დაპატიმრება სათითაოდ – სარისკოა. გამოსავალი შეიძლება იყოს ორი: ან დაჯგუფების აქტიური მონაწილეები უნდა დავაპატიმროთ დაუყოვნებლივ, ან დაველოდოთ თქვენს ჩამოსვლას, და ჯერჯერობით მივიღოთ აგენტურული ზომები, რათა უცბად არ წამოგვადგნენ თავს. საჭიროდ მიმაჩნია აღვნიშნოთ, რომ ამჟამად ყველა მეამბოხე დაჯგუფება ძალიან სწრაფად ყალიბდება და უკანასკნელი გადაწყვეტილება ცნობილ რისკს წარმოადგენს“.

ლენინგრადის სამხედრო ოლქის სარდალი ტუხაჩევსკი ძალიან კარგ ურთიერთობაში იყო ლენინგრადის ლიდერ კიროვთან. მეგობრული დამოკიდებულება ჰქონდა მას ორჯონიკიძესთანაც და კუიბიშევთანაც. თავის მხრივ, პოლიტბიუროს სამი წევრი შეადგენდა ელიტარულ კლანს, რომელიც გარკვეული ავტონომიით სარგებლობდა. აბა გაბედე და ხელი შეახე ტუხაჩევსკის – და შედეგები შეიძლება იყოს სრულიად განუჭვრეტელი.

და ეს მაშინ, როდესაც მუშურ-გლეხურ წითელ არმიაში არსებობდა კიდევ ერთი ფრონტული დაჯგუფება – ანტისაბჭოურად განწყობილი სამხედრო სპეცები. დღეს ძნელია იმაზე საუბარი, რამდენად სერიოზული იყო მათი ორგანიზაცია (გამოძიების მასალები დღემდე გასაიდუმლოებულია). მაგრამ მთავარი პოლიტიკური სამმართველოს განყოფილების პატაკიდან ჩანს, რომ ყოფილი ოფიცრები – სპეცები ნამდვილად იკრიბებოდნენ საიდუმლოდ კრებებზე, რომლებიც წარმოადგენდნენ რაღაც საშუალოს ძველი ამხანაგების პოსიდელკებსა (თავისებური საფიხვნო ძველ რუსეთში) და ფრონდირების წრეებს შორის. იტყობინებოდნენ აგრეთვე სამხედრო წრეებში ბონაპარტისტული და მონარქისტული განწყობილების ზრდის შესახებ. ამას გარდა, თეთრ ემიგრაციაში აშკარად ამყარებდნენ იმედებს სამხედრო სპეცებზე, რომელთაგანაც ელოდნენ საბჭოთა ხელისუფლების შეიარაღებულ დამხობას. მაგალითად, ჯერ კიდევ 1928 წლის მარტში თეთრი ემიგრანტების გაზეთმა „ვოზრუჟდენიემ“ გამოაქვეყნა გენერალ ა.ი.დენიკინის წერილი ვინმე „წითელი მეთაურისადმი“. თეთრი სამხრეთის ყოფილი ხელმძღვანელი ამართლებდა „სამხედრო სპეცების“ გადასვლას მუშურ-გლეხურ წითელ არმიაში. დენიკინი სერიოზულად შენიშნავდა, რომ ძლიერი არმია შეიძლება გამოიყენო ბოლშევიკების დამხობისთვის.

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 14-35.

◉ ვანკუვერი – 2010

# ოლიმპიადის ტაბლო



**ბიატლონი. ესტაფეტა 4X6 კმ. ქალები.**

1. **რუსეთი** (სვეტლანა სლეპცოვა, ანა ბოგალიი-ტიტოვეცი, ოლგა მედვედცევა, ოლგა ზაიცევაძ, 2. **საფრანგეთი** (მარი-ლორ ბრიუნე, სილვი ბეკარი, მარი დორენი, სანდრინ ბაიიძ, 3. **გერმანია** (კატი ვილჰელმი, სიმონე ჰაუსვალდი, მარტინა ბეკი, ანდრეა ჰენკელიძ.

**ციგურებით რბენა. 10 000 მ. კაცები.**

1. ლი სონ ხუნი (ს. კორეაძ, 2. ივან სკობრევი (რუსეთიძ, 3. ბობ დე იონგი (ჰოლანდიაძ.

**ფრისტაილი. კროსი. ქალები**

1. ეშლი მაკაივორი (კანადაძ, 2. ხუდა ბერტსენი (ნორვეგიაძ, 3. მარიონ ჟოსერანი (საფრანგეთიძ.

**გუნდური შეჯიბრება. ჩრდილოეთის ორჭიდი. ესტაფეტა 4,5 კმ.**

1. ავსტრია, 2. აშშ, 3. გერმანია.

**გიგანტური სლალომი. კაცები**

1. კარლო იანკა (შვეიცარიაძ, 2. კიეტილ იანსრუდი (ნორვეგიაძ, 3. აქსელ-ლუნდ სვინდალი (ნორვეგიაძ... 46. იასონ აბრამაშვილი... 50. ჯაბა გელაშვილი. შეჯიბრებაში სულ 83 სპორტსმენი ჩაება, დისტანცია კი 61-მა ჩაამთავრა.

**ფიგურული ციგურაობა. ქალები**

მოკლე პროგრამის შემდეგ ელენე გედევანიშვილი 61,9 ქულით მე-9 ადგილზეა. პირველ-მესამე ადგილებს იყოფენ კიმ იუ ნა (კორეაძ – 78,50, მაო ასადა (იაპონიაძ – 73,78, ჟოანი როშეტი (კანადაძ – 71,36. მომდევნო ადგილებზე მოდიან: კაროლინა კოსტნერი (იტალია) – 65,55, მიკი ანდო (იაპონიაძ – 64,76, რეიჩელ ფლეტი (აშშძ – 64,64, მირაი ნაგასუ (აშშძ – 63,76, ალიონა ლეონოვა (რუსეთიძ – 62,14.

**ჰოკეი.**

**მეოთხედფინალში ერთმანეთს შეხვდებიან:** კანადა-რუსეთი, შვედეთი-სლოვაკეთი, ჩეხეთი-ფინეთი და აშშ-შვეიცარია.

**საერთო გუნდური ჩათვლა (მედლებიძ**

| | ო | ვ | ბ | სულ |
|---|---|---|---|---|
| აშშ | 7 | 9 | 10 | 26 |
| გერმანია | 7 | 9 | 7 | 23 |
| ნორვეგია | 6 | 5 | 6 | 17 |
| კანადა | 6 | 4 | 1 | 11 |
| შვეიცარია | 6 | 0 | 2 | 8 |
| ს. კორეა | 5 | 4 | 1 | 10 |
| ავსტრია | 4 | 3 | 3 | 10 |
| რუსეთი | 3 | 4 | 6 | 13 |
| შვედეთი | 3 | 2 | 2 | 7 |
| ჰოლანდია | 3 | 1 | 2 | 6 |



◉ ფეხბურთი



# რეცეპტი – 90 წუთი

**მას შემდეგ, რაც კრისტიან გროსი „შტუტგარტის" მწვრთნელი გახდა, „შვაბებმა" ბუნდესლიგის შვიდი მატჩიდან ექვსი მოიგეს, მაგრამ ერთია გერმანიის ჩემპიონატის შეხვედრები და სულ სხვაა ევროპის ყველაზე პრესტიჟული საკლუბო ტურნირის პლეიოფი, სადაც მეტოქე, არც მეტი, არც ნაკლები, „ბარსელონაა".**

არა, ისე არ გაგვიგოთ, თითქოს მასპინძლებს მრისხანე მეტოქესთან მოტივაცია ან მონდომება აკლდათ. პირიქით, მოჭარბებულადაც კი გააჩნდათ, მაგრამ ღირსეულად გამკლავება მხოლოდ პირველ ტაიმში შეძლეს, რომელიც კაკაუს ზუსტი თავურით მოიგეს კიდეც – 1:0. ისიც უნდა ითქვას, რომ მის პარტნიორებს უფრო სოლიდურად დაწინაურების შანსებიც ჰქონდათ, მაგრამ ხან არაზუსტად ურტყამდნენ კარში, ხანაც ვალდესს ვერ სჯობნიდნენ, ხოლო ერთ ეპიზოდში მსაჯმა ულალატათ, როცა პუიოლის მიერ საკუთარ საჯარიმოში ხელით თამაში ვერ შენიშნა.



კატალონიელები გონს შესვენების წინ მოეგნენ, როცა მესიმ ბურთი ლემანის კარის ძელს მოახვედრა, აქედან მოყოლებული კი ისინი მდგომარეობის ბატონ-პატრონნი გახდნენ და იბრაჰიმოვიჩმა ლოგიკურად გაათანაბრა ანგარიში – 1:1.

მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა მეოთხედფინალისკენ საფრანგეთის ჩემპიონატის ერთპიროვნულმა ლიდერმა „ბორდომ". ლორან ბლანის გუნდმა პირეოსში „ოლიმპიაკოსს" სძლია – 1:0 (სიანიძ, საბერძნეთში გამარჯვება კი, მოგეხსენებათ, ურთულესი საქმეა. დავძენთ, რომ ელადელები მხოლოდ უკანასკნელ წუთებზე გააქტიურდნენ, გაურკვეველი მიზეზის გამო არჩათვლილი საპასუხო გოლიც გაიტანეს (დერბიშირიძ, მაგრამ სიტუაციის გამოსწორება ველარ მოასწრეს.

◉ ფიდე

# გრან-პრის მარშრუტები

**ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციის ქალთა გრან-პრის მესამე ეტაპი 25 აპრილიდან 8 მაისის ჩათვლით ნალჩიკში გაიმართება. საპრიზო ადგილებისთვის საბრძოლველად ქართველ დიდოსტატ ნანა ძაგნიძესთან ერთად საკმაოდ ძლიერი შემადგენლობა მოიყრის თავს.** საკუთარ შესაძლებლობებს გამოცდიან ჰამფი კონერუ (ინდოეთიძ, ჰოუ იფანი (ჩინეთიძ, პია კრამლინგი (შვედეთიძ, ჩჟაო სიუ (ჩინეთიძ, ტატიანა კოსინცევა (რუსეთიძ, ჟუ ჩენი (ყატარიძ, ელინა დანიელიანი (სომხეთიძ, ბაჰუიანგ მონგონთუული (მონღოლეთიძ, ბეთულ ილდიზი (თურქეთიძ, ლილით მკრტიჩიანი (სომხეთიძ და ბაირა კოვანოვა (რუსეთიძ. თუმცა მანამდე, 5 მარტიდან ევროპელი მოჭადრაკეები ხორვატეთის ქალაქ რიეკაში შეიკრიბებიან კონტინენტის ჩემპიონატში საასპარეზოდ.



ფიდეს ქალთა გრან-პრის მე-4 ეტაპს 23 ივნისიდან 6 ივლისამდე ჯემბუკი (სომხეთიძ უმასპინძლებს, მე-5 ეტაპი – 29 ივლისიდან 12 აგვისტომდე ულანბატორში (მონღოლეთიძ, ხოლო მე-6 ეტაპი 27 ოქტომბრიდან 9 ნოემბრამდე სანტიაგოში (ჩილეძ გაიმართება.

◉ ფარიკაობა

## მოფარიკავეებმა გვასახელეს

**ბულგარეთის დედაქალაქმა სოფიამ გასულ უქმეებზე კადეტ მოფარიკავეთა ორ საინტერესო შეჯიბრებას უმასპინძლა. უპირველესად ევროპის თასის გათამაშების ბოლო ეტაპი უნდა გამოვყოთ.** ამ შეჯიბრებაში ხმლით მოფარიკავენი გამოდიოდნენ. საქართველოდან სამი სპორტსმენი იბრძოდა საპრიზო ადგილებისთვის. უნდა ითქვას, რომ შედეგმა მოლოდინს გადააჭარბა: გოგონებში



თეოდორა კახიანმა მხოლოდ ერთი ორთაბრძოლა დათმო და საბოლოოდ მესამე ადგილი დაიკავა. ამავე სახეობაში მიხეილ მარდალეიშვილმაც ბრინჯაოს მედალს გამოჰკრა ხელი, სანდრო ბაზაძე კი მეცხრე ადგილზე გავიდა.

სოფიაშივე ბულგარეთის დედაქალაქის ღია პირველობაზე რაპირისტმა არჩილ უგულავამ ყველა მეტოქეს აჯობა და პირველი ადგილი დაიკავა.

ქართველი სპორტსმენები მწვრთნელებთან – მერაბ ბაზაძესთან და ლუდვიგ ღლანიძესთან ერთად საწვრთნელ შეკრებაზე იქვე რამდენიმე დღეს დარჩებიან და შემდეგ ათენს გაემგზავრებიან, სადაც 2 მარტიდან კადეტთა ევროპის ჩემპიონატში ჩაებმებიან.

◉ ინტერნეტიდან

## ბილეთები იაფდება

**როგორც ფიფას გენერალურმა მდივანმა ჟერომ ვალკემ ჟურნალისტებს განუცხადა, ფეხბურთში 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატისთვის, რომელიც სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში ამ ზაფხულს უნდა გაიმართოს, 2,9 მილიონი ბილეთიდან სადღეისოდ გაყიდულია მხოლოდ 2,1 მილიონი ბილეთი. განსაკუთრებით ცუდად იყიდება ლოჟების ძვირადღირებული ბილეთები. ჯერჯერობით გაყიდულია ბილეთიანი პაკეტების მხოლოდ ნახევარი.**

მართალია, ფიფა ფიქრობდა, რომ ჩემპიონატის დღეებში სამხრეთ აფრიკაში ჩავიდოდა 400 ათასიდან 500 ათასამდე სტუმარი, თუმცა ახლა მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ტურისტების ასეთი შემოსევა ნამდვილად არ იქნება. ამიტომაც გადაწყვიტეს, ფასის მიხედვით მეორე და მესამე კატეგორიის ბილეთები გაყიდონ მეოთხე კატეგორიის ფასად, ანუ 20 დოლარად, მაგრამ მხოლოდ სამხრეთ აფრიკელებზე, ამ შემთხვევაში ფიფა შეგნებულად მიდის ზარალზე.




„ჩვენ ვერ დავუშვებთ, რომ სამხრეთაფრიკელ ხალხს არ ჰქონდეს მსოფლიო ჩემპიონატის მატჩებზე დასწრების საშუალება, ის ხომ მათ ქვეყანაში უნდა გაიმართოს" – განაცხადა ფიფას გენერალურმა მდივანმა, – ფიფას შემოსავალი დაგეგმილზე ნაკლები იქნება, მაგრამ უკვე გამოვნახეთ სახსრები, რათა ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტმა შეძლოს ბიუჯეტის შესრულება, რაც 423 მილიონ დოლარს შეადგენს".

როგორ ამბობენ, წინასწარ იყო გათვალისწინებული, რომ ჩამოსული მდიდრები გადაიხდიდნენ ღარიბი „აბორიგენების" ფულსაც. 2007 წლის ნოემბრის ბოლოს გაცხადდა დურბინში (იქ გაიმართა ამ ჩემპიონატის წილის ყრაძ, რომ სამი „უცხოური" კატეგორიის ბილეთი ჯგუფური ტურნირის მატჩებზე ეღირება 80-დან 160 დოლარამდე. მერვედფინალურ მატჩებზე – 100-დან 200 დოლარამდე, მეოთხედფინალებზე და მესამე ადგილისთვის შეხვედრებზე – 150-დან 300 დოლარამდე, გახსნის მატჩი – 200-დან 400 დოლარამდე, ნახევარფინალები – 250-დან 600 დოლარამდე, ხოლო ფინალი – 400-დან 900 დოლარამდე.

მეოთხე კატეგორიისთვის ფინალი ღირს 150 დოლარი, ჯგუფური ტურნირის მატჩები კი 20 დოლარი. უნდა ითქვას, რომ ბევრი სამხრეთაფრიკელისთვის ის 154 რანდიც, რაც 20 დოლარს უტოლდება, დიდი ფულია, ამიტომ ფიფა სთხოვს ბანკებსა და სხვადასხვა კომპანია-სპონსორს, შეიძინონ ბილეთები და დაურიგონ ადგილობრივ გულშემატკივრებს.

## ტოპალოვიც ცდება

**როგორც უკვე ვწერდით, ესპანურ ლინარესში მიმდინარე საჭადრაკო სუპერტურნირის მეხუთე-მეექვსე ტურებში ბულგარელმა დიდოსტატმა ვესელინ ტოპალოვმა ისარგებლა გრიშჩუკისა და ვალეხოს შეცდომებით, ზედიზედ ორი გამარჯვება მოიპოვა და დიდი უპირატესობით დაწინაურდა, „მაგრამ განა ეს სოფელი გაახარებს ვინმეს განა"? ასე დაემართა ტოპალოვსაც.** მერვე ტურში, როცა მას არონიანთან დიდი პოზიციური და მოსაფიქრებლად ერთსაათიანი უპირატესობა ჰქონდა, რაღაც ტაქტიკური „სიბრმავე" დაემართა, რატომღაც სწრაფად და ცუდად ითამაშა. მას მოგება კი არა, ყაიმიც ძნელად მისაღწევი გაუხდა.

იმ დღეს გრიშჩუკმა გაშიმოვი დაამარცხა. ყაიმზე კი ვალეხო და გელფანდიც შეთანხმდნენ.

## მაურინიუს მოუბოდიშა

**იტალიის ერთ-ერთმა ყველაზე სასურველმა ქალმა ალბა პარიეტიმ ბოდიში მოუხადა მილანის „ინტერის" მთავარ მწვრთნელს ჟოზე მურინიუსა და მის ცოლს იმ სკანდალისთვის, რაც ვალენტინის დღეს პრესაში გამოქვეყნებულმა ინფორმაციამ გამოიწვია – გაზეთები წერდნენ, რომ მურინიუსა და პარიეტის ფლირტი ჰქონდეთ.**

თავიანთ „მოსაზრებებში" იტალიელი ჟურნალისტები იქამდეც კი მივიდნენ, რომ ისიც კი დაწერეს, თითქოს მურინიუმ ღამე ალბასთან გაატარა, ხოლო დღესასწაულის მომდევნო დღეს ქალიშვილს ყვავილების თაიგულიც გაუგზავნაო.



„უნდა ბოდიში მოვუხადო „ინტერს", რომელიც ძალზე მიყვარს, – განუცხადებია პარიეტის, – ასევე მურინიუს, მას ხომ არასოდეს შევხვედრივარ". ლამაზმანმა ისიც თქვა, რომ გაზეთების ნათქვამი მას ხუმრობად მიაჩნია.

ხიდი

## გუმარლი — ჩვენი მეგობარი




**უკეთესი საჩუქარი რა იქნებოდა?.. საიუბილეო საღამოზე მარჯანიშვილის თეატრში რევაზ მიშველაძემ თავისი ნოველების აზერბაიჯანულ ენაზე ნათარგმნი ახალთახალი კრებული მიიღო. წიგნი თავად მთარგმნელმა — ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორმა, საქართველოში დაბადებულმა გუმარ გუმარლიმ (ალიევმაძ გადასცა იუბილარს, დახვეწილი ქართულით გულთბილად მიულოცა დაბადების 70 წლისთავი, და ბაქოში გელოდებითო, ესეც უთხრა.**

ეტყობა, გულიანი (ფულიანიცძ კაცია ჩვენი გუმარლი. აზერბაიჯანისა და საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი, თავის თარგმანებს თვითონვე სცემს. გამოცემული აქვს შოთა ნიშნიანიძის ლექსების თარგმანი. რევაზ მიშველაძის ნოველები თავდაპირველად 2000 წელს გამოსცა... და სხვა უამრავი გეგმაც აქვს.

აბა, მადლობის მეტი რა გვეთქმის ბატონ გუმარლის მიმართ. იგი ხომ ერთ-ერთი ხელშემწყობია ორი ერის არა მარტო ლიტერატურათა დაახლოებისა.

**ვილენ მარდალეიშვილი**

გამოფენა-გაყიდვა

## „ვაჩე“ ერთი წლისაა

**გალერეა „ვაჩეს“ დაარსებიდან ერთი წელი შეუსრულდა. დამთვალიერებელთა შორის ყველა თაობის ადამიანები იყვნენ, რომლებიც დიდი ინტერესით ათვალიერებდნენ ნამუშევრებს.**



„ვაჩეს“ დამფუძნებლებმა სტუმრებს ცნობილი მხატვრების ელენე ახვლედიანის, ლადო გუდიაშვილის, სოლომონ გერშოვის ნახატებთან ერთად სხვადასხვა დიზაინერის მიერ ხელნაკეთი სამკაულები და აქსესუარები შესთავაზეს.

**ლიკა ვაჩეიშვილი, დამფუძნებელი:** „ვაჩეს“ დაარსებიდან ერთი წელი შეუსრულდა. დამთვალიერებლებს საუკეთესო ნახატებისა და ხელით ნაკეთი ექსკლუზიური ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა შევთავაზეთ. ნახატები დღევანდელი დღისთვის საგანგებოდ შერჩეული კინოესკიზების მიხედვით შეიქმნა. გამოირჩევა მოჭიქრებული ოქროს და ვერცხლის სამკაულები და აქსესუარები, რომლებიც მსოფლიოში აღიარებულ დიზაინერებს კახა ჭოხონელიძეს, ეკა ძაძამიას, ზანდა ჩიშიაშვილს და ა. შ. ეკუთვნის.

დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ ამ ნამუშევრების შეძენა. შევეცადეთ რომ საშუალო ფენისთვის ხელმისაწვდომი ყოფილიყო. მაგალითად, ლადო გუდიაშვილის ერთი პატარა ტილოს ფასი 400 ლარიდან იწყება!

**მარიამ პაპინაშვილი, დამთვალიერებელი:** ამ გალერეაში ყოველთვის საუკეთესო ნამუშევრებია გამოფენილი. ძალიან მომწონს ოქროზე დამუშავებული აქსესუარები, უცხო და იშვიათი ხელნაკეთი, ფასიც ხელმისაწვდომია. ხვალ ჩემს გოგონას დაბადების დღე აქვს და ვაპირებ მას საჩუქრად შევუძინო.

**თინათინ ბორცვაძე**

ბუნება

## ყველაფერში თერმომეტრია დამნაშავე?

**კვლავ სკანდალი გაჩაღდა გლობალურ დათბობასთან დაკავშირებით. თითქოსდა მეტეოსადგურებზე თერმომეტრების მაჩვენებლებს არ უნდა ვენდოთო. არადა, სწორედ ამ მონაცემებზე იყო აგებული დათბობის მთელი თეორია. რაშია საქმის არსი?**

**გ. ვარდოსანიძე, გურჯაანი**

ამერიკის შეერთებული შტატების ორი მეტეოროლოგი აცხადებს: ინფორმაცია ტემპერატურის შესახებ, რასაც მეტეოსადგურების მეშვეობით კრებენ, არ შეიძლება იყოს გლობალური კლიმატური ცვლილებების საიმედო ინდიკატორი. 150 წლის განმავლობაში, რაც დაიწყო კლიმატზე თვალყურის დევნება, ბევრი სადგურის გარშემო კლიმატი ძალიან შეიცვალა. სადღაც გაჩნდა საცხოვრებელი სახლები, სადღაც ნაგავსაყრელებზე აეროპორტები და ნავთის გადასამუშავებელი ქარხნები გაჩნდა, ყოველივე ეს კი ახურებს ჰაერს, ამახინჯებს ბუნებრივ სურათს.



„ამ ფაქტორების შესახებ საუბრობდნენ ჯერ კიდევ გასული საუკუნის 60-70-იან წლებში, და დღესაც ქალაქების გავლენა კლიმატზე უნდა გავითვალისწინოთ, — განმარტავს გრიგოლ მაღლაკელიძე, ერთ-ერთი ცნობილი კლიმატოლოგი. — არის სპეციალური ანალიზი, რომელიც ქალაქის სადგურებს გამოჰყოფს მათგან, რომლებიც განთავსებული არიან ტყეში ან სოფლის ადგილებში. შედეგად მეცნიერები ღებულობენ სხვადასხვა გრაფიკებს: ერთი აჩვენებს თუ როგორ მიდის დათბობა ქალაქებში (იქ კი ეს უფრო გამოხატულიაძ, მეორე კიდევ — მთლიანად პლანეტაზე“.

ხსოვნა

## როლან კილაძე



გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი-ასტროფიზიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი როლან კილაძე.

რ. კილაძე დაიბადა ქ. თბილისში 1931 წლის 23 სექტემბერს. სწავლობდა ვაჟთა მე-7 საშუალო სკოლაში. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, 1955 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა ე. ხარაძის სახელობის აბასთუმნის ასტროფიზიკურ ობსერვატორიაში სხვადასხვა თანამდებობებზე, 2001-2006 წლებში იყო ამ დაწესებულების დირექტორი. 1962-2005 წლებში პარალელურად მოღვაწეობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასტრონომიის კათედრაზე, 2007 წლიდან იყო ი. ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

რ. კილაძის სამეცნიერო ინტერესების სფერო მოიცავდა ვარსკვლავთ ასტრონომიის, კოსმოგონიისა და ცის მექანიკის კლასიკურ პრობლემებს. ამ დარგებში მის მიერ მიღებული უმნიშვნელოვანესი შედეგები ასახულია 6 მონოგრაფიასა და 150-მდე სამეცნიერო სტატიაში. 1988 წელს იგი აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად.

1971 წელს რ. კილაძეს ზუსტ ასტრონომიულ ხელსაწყოთმშენებლობაში მიღწეული წარმატებისთვის თანაავტორებთან ერთად მიენიჭა სსრ კავშირის სახელმწიფო პრემია მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში; დაჯილდოებული იყო ციოლკოვსკის და კოროლიოვის სახელობის მედლებით. მინიჭებული ჰქონდა ღირსების ორდენი (2001 წ.ძ.

1966 წელს საერთაშორისო კატალოგში დარეგისტრირდა მცირე პლანეტა სახელად „4737 KILADZE“.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს შესანიშნავი მეცნიერის და ძვირფასი კოლეგის როლან კილაძის გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახსა და ახლობლებს.

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია**

## რევაზ ღლონტი



გარდაიცვალა ქართული წიგნის და პოლიგრაფიის ამაგდარი, ბატონი რევაზ ღლონტი.

ვინც ერთხელ მაინც შეხვედრია ბატონ რეზოს, მეხსიერებაში დარჩება ის ყურადღება და სიყვარული, რომელსაც იგი საქმისადმი და საგამომცემლო საქმიანობაში მონაწილე პირებისადმი იჩენდა, ვინც არ უნდა ყოფილიყო — უბრალო მბეჭდავი თუ ხელმძღვანელი მუშაკი. განსაკუთრებული სისპეტაკე, პატიოსნება, პრინციპულობა, უშუალობა, პროფესიონალიზმი... აი, რით იყო გამორჩეული ბატონი რეზო თავის თაობაში, თაობაში, რომელსაც მრავალი ქარტეხილისა და განსაცდელისთვის უნდა გაეძლო.

ბატონი რეზო დაიბადა ქალაქ ბათუმში 1932 წლის 18 ოქტომბერს. 1951 წელს დაამთავრა ბათუმის I საშუალო სკოლა. 1952-57 წლებში სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე. 1958 წლიდან ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას. 1962-1980 წლებში იყო არაერთ ხელმძღვანელ თანამდებობაზე. 1980 წლის 16 სექტემბრიდან მოღვაწეობდა საქართველოს ბეჭდვითი სიტყვის კომიტეტში თავმჯდომარის მოადგილედ, შემდგომ — თავმჯდომარედ. 1993 წლის 15 ივლისიდან იგი ინიშნება სულხან-საბა ორბელიანის სახელობის წიგნის პალატის გენერალურ დირექტორად.

პარალელურად, 1990-1993 წლებში იყო საქართველოს მწიგნობართა ასოციაციის თავმჯდომარე. არჩეულ იქნა საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, რუსთაველის სახელმწიფო პრემიის კომიტეტის პრეზიდიუმის წევრად, სახელმწიფო ენის პალატის წევრად, პოლიგრაფიის სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარედ. იყო საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკი, ღირსების ორდენის კავალერი. მისი ხელმძღვანელობით საქართველოს დელეგაციამ მიიღო მონაწილეობა არაერთ საერთაშორისო გამოფენაში: გერმანიაში, იუგოსლავიაში, პარიზში, მოსკოვში, რუმინეთში.

ბატონი რეზო ქართული წიგნის, სტამბის და, საერთოდ, ქართული საზოგადოების ისტორიაში მნიშვნელოვან მოღვაწედ დარჩება, მოღვაწედ, რომელსაც თავისი კრიტერიუმები ჰქონდა, რომლისთვისაც არასდროს უღალატია.

**საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა**

გახსენება

## გენერალი გურამ ქარქაშაძე

26 თებერვალს სამოცდაოთხი წელი შეგისრულდებოდა. ჩვენდა სავალალოდ, მხოლოდ „შეგისრულდებოდა“... ვინ მოთვლის, კიდევ რამდენის გაკეთება შეგეძლო შენი სათაყვანებელი ოჯახისთვის, შენი მეგობრებისთვის, ახლობლებისა და კოლეგებისთვის.

შენ შეყვარებული იყავი სამშობლოზე და ერთგულად ემსახურებოდი მას შენი საინტერესო და დაძაბული ცხოვრების ბოლო წუთებამდე.

შენ, გენერალ-ლეიტენანტს, რომელიც კურირებდი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებოს, როგორი გასაკვირიც არ უნდა იყოს, არ გყავდა მტრები, ხოლო ამავდროულად შენმა გულისხმიერებამ, ჰუმანურობამ, პროფესიონალიზმმა ავტორიტეტი შეგიქმნეს არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მის გარეთაც, სადაც კი მოგიხდა მოღვაწეობა.



როდესაც შენს მშობლიურ სოფელ ღვანკითში ახალი სასწავლო წლის შეხვედრაზე ჩვენ, შენმა მეგობრებმა, ვიხილეთ თანამედროვე, კეთილმოწყობილი შენობა, მაშინ გავაცნობიერეთ, სიცოცხლეშივე რატომ მიანიჭეს სკოლას შენი სახელი.

გაჭირვებულის დახმარება, ქველმოქმედება, თავმდაბლობა და ინტელიგენტურობა იყო შენი ცხოვრებისეული წესიცა და პრინციპიც.

ქართველი საზოგადოება გაოცდა, როდესაც გამოქვეყნდა შენი საინტერესო და ლამაზი ნაშრომი ქართული კინოხელოვნების ისტორიისა და გამოჩენილი მსახიობის აკაკი ხორავას შემოქმედების შესახებ.

ჩვენმა სპორტულმა საზოგადოებამ, განსაკუთრებით კი თბილისის „დინამოს“ ცნობილმა ფეხბურთელებმა ბევრი რამ მითხრეს იმაზე, თუ რამდენად მადლიერნი არიან, თუ რაოდენ ყურადღებიანი იყავი ყოველი მათგანის მიმართ; ხოლო შენს დაკრძალვაზე მურთაზ ხურცილავასა და საშა ჩივაძის ცრემლით სავსე თვალებმა კიდევ უფრო მეტი გამაგებინეს...

როცა შენი უსაყვარლესი ქალიშვილის — ნინოს და ჩემი ვაჟის — კოკის ქორწილში ჩვენი დიდი სამეგობრო ხარობდა მათი გაბედნიერებით, როგორ შემეძლო იმის წარმოდგენა, რომ ეს სიხარული და ტკბობა ასე ხანმოკლე იქნებოდა?!

შენ, გურამ, ჩემზე ბევრად უმცროსი იყავი. არავინაა მარადიული და ცას გამოკერებული ამ წუთისოფელში, მაგრამ, ვიდრე მე ვარ ცოცხალი, ვეცდები, რომ მთელი ჩვენი დიდი ოჯახის ყველა თაობის წარმომადგენელი აღმოჩნდეს ღირსეული გამგრძელებელი შენი ცხოვრების წესისა.

ნათელში გამყოფოს უფალმა.

**იურა ოსიპოვი**

ი. ჟორდანიას საქ. ადამიანის რეპროდუქციის ს/კ ინსტიტუტის თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ ინსტიტუტის გენერალურ დირექტორს პროფესორ არჩილ ხომასურიძეს ბიძის

როლან კილაძის

გარდაცვალების გამო.

საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაციის რესპუბლიკური გამგეობა ღრმა მწუხარებას გამოხატავს ქართული წიგნისა და წიგნის მოყვარულთა დიდი მოამაგის, ძომაგისა და თანამდგომის

რევაზ ღლონტის

გარდაცვალების გამო.

## სულიერება



# ივერიის ღვთისმშობლის ხატი

**25 თებერვალს საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის დღესასწაულს აღნიშნავს.**

...ბიზანტიაში იმპერატორმა გასცა ბრძანება, რომ ყველა ხატი გაენადგურებინათ. იმხანად ნიკეის მახლობლად ცხოვრობდა ქვრივი, რომელსაც გადამალული ჰქონდა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატი.

...ნაიარევი ხატი მან ზღვასთან მიაბრძანა, წყალში ჩაშვებულმა წმინდა ხატმა გეზი დასავლეთისკენ აიღო... წმინდა მამებმა ნახეს, რომ ნათლის სვეტი ადგა ხატს, მაგრამ, როცა მიახლოება გადაწყვიტეს, ხატი ზღვის ნაპირს გაშორდა. ივერთა მონასტერში მოღვაწეობდა ქართველი ბერი გაბრიელი... ბერი გაბრიელი ზღვაში შევიდა, ტალღებზე ისე გაიარა, როგორც ხმელეთზე და წმინდა ხატი ნაპირზე გამოაბრძანა. საკურთხეველში დაბრძანების შემდეგ ღვთისმშობლის ხატი ბევრჯერ „გაუჩინარდა“.

...ყოვლადწმინდა ქალწულმა გამოცხადებაში უთხრა გაბრიელ ბერს, მე მნებავს, რომ თქვენ კი არ მიცავდეთ მე, არამედ მე გფარავდეთ თქვენო.

პორტაიტისას, ანუ ივერიის სასწაულმოქმედი ხატის მადლით მრავალი სასწაული აღესრულება.

**გიული ლიპარტია**

## დღის კალენდარი

**25 თებერვალი**

**ივერიის ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ხატის დღესასწაული; ღირსმოწამეთა: პროხორე ქართველისა (1066ჭ, ლუკა იერუსალიმელისა (1273-1277ჭ, მოწამისა ნიკოლოზ დვალისა (1314ჭ, და იერუსალიმის ქართველთა მონასტრებში ცხოვრებულთა ყოველთა ქართველთა მოწამეთა და ღირსთა მამათა (IVXVIIIჭ; მელტტი დიდისა, ანტიოქიელი მთავარეპისკოპოსისა (381ჭ; ღირსთა მარიამისა (მარინოსისაჭ და მამისა მისისა ევგენისა (VIჭ; ანტონი კონსტანტინოპოლელი პატრიარქისა (901ჭ; ალექსი მოსკოველი მიტროპოლიტისა, სასწაულმოქმედისა (1378ჭ; ახალმოწამისა ქრესტოს მებაღისა (1748ჭ.**



ამოდის 06.43
ჩადის 17.46



ამოდის 13.50
ჩადის 04.19

### დაიბადნენ:

**1841 – პიერ ოგიუსტ რენუარი,** ფრანგი ფერმწერი, იმპრესიონიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი. გარდაიცვალა 1919 წელს.

**1880 – ევგენი პახომოვი,** ნუმიზმატი, აღმოსავლური და ქართული ნუმიზმატიკის მკვლევარი. გარდაიცვალა 1965 წელს.

**1901 – პანტელეიმონ ბერაძე,** მთარგმნელი, ანტიკური ლიტერატურის მკვლევარი, პროფესორი. გარდაიცვალა 1968 წელს.

**1917 – ენტონი ბარჯესი (ჯონ ენტონი ბარჯეს ვილსონიჭ,** ინგლისელი მწერალი, კრიტიკოსი და კომპოზიტორი. გარდაიცვალა 1993 წელს.

**1927 – ელგუჯა ბერძენიშვილი,** მხატვარი.

**1930 – ვაჟა ოკუჯავა,** ნეიროფიზიოლოგი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

### გარდაიცვალნენ:

**1947 – ფრიდრიხ პაშენი,** გერმანელი ფიზიკოსი.

**1983 – ტენესი ვილიამსი,** ამერიკელი დრამატურგი.

### მოვლენები:

**1836** – სემუელ კოლტმა დააპატენტა 45 კალიბრის ექვსვაზნიანი რევოლვერი.

**1848** – გამოცხადდა საფრანგეთის რესპუბლიკა (მე-2 რესპუბლიკაჭ.

**1921** – ბოლშევიკურმა რუსეთმა დაიპყრო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა.

**1925** – ქურთებმა დაიწყეს თურქების წინააღმდეგ აჯანყება.

**ღირსსახსოვარი დღეები:**

**კუვეიტი** – ეროვნული დღე.

**სურინამი** – განთავისუფლების დღე.

**ფილიპინები** – სახალხო ხელისუფლების დღე.

**მედიანიუსი**

## დაიჯესტი

### რევოლუციის კალენდარი

**ნებისმიერი კალენდრის საფუძველს ასტრონომიული მოვლენები – მზის გარშემო დედამიწის, დედამიწის გარშემო – მთვარის, საკუთარი ღერძის გარშემო – დედამიწის ბრუნვა წარმოადგენენ.**

მათ შორის ყველაზე საინტერესო და მეცნიერულად დასაბუთებულია 1793 წლის 5 ოქტომბერს შემოღებული საფრანგეთის რევოლუციის კალენდარი. წლის ხანგრძლივობად დადგენილი იყო 365 დღე, რომელიც 30-დღიან 12 თვედ იყოფოდა, თითოეული თვე სამ დეკადად იყო დაყოფილი, ხოლო ყოველი „ზედმეტი“ ხუთი დღე წლის დამლევს სადღესასწაულო დღედ იყო გამოცხადებული. ყოველ მეოთხე, ნაკიან წელიწადს დამატებით 366-ე დღე ემატებოდა.

წლის დამდეგი რესპუბლიკის გამოცხადების დღეს დაამთხვიეს და იგი გრიგორიანული სტილის 1792 წლის 22 სექტემბრის ბუნიობის დღე აღმოჩნდა. თვეებს ახალი სახელები დაარქვეს: **შემოდგომის თვეებს უწოდეს ვანდემიერი, ბრიუმერი, ფრიმერი; ზამთრისას – ნივოზი, პლუვიოზი, ვანტოზი; გაზაფხულისას – ჟერმინალი, ფლორიალი, პრერიალი; ზაფხულისას – მესიდორი, ტერმიდორი და ფრუქტიდორი.** ამ კალენდრის გამოცხადება საფრანგეთის ყველა ქალაქში ზეიმით აღნიშნეს. მაგალითად, ქალაქ არასში 20 ათასმა კაცმა სიმბოლურ აღლუმში მიიღო მონაწილეობა, რომელიც წელიწადის მსვლელობას აღნიშნავდა. 12 ჯგუფი 12 თვეს განასახიერებდა, თითოეულ ჯგუფს თავში ახალგაზრდობა ედგა, ხუთი ოთხმოცი წლის მოხუცი დამატებით სადღესასწაულო დღეებს აღნიშნავდა, ხოლო ბალდაქინის ქვეშ მიმავალი ასი წლის მოხუცი ყოველი ნაკიანი წლის 366-ე დღეს წარმოადგენდა.



რესპუბლიკურმა კალენდარმა მხოლოდ 13 წელი იარსება – 1806 წელს იგი ნაპოლეონმა გააუქმა.

### გორბაჩოვის... რომანსები



**ათი წლის წინათ გარდაცვლილი მეუღლის ხსოვნას მიუძღვნა რამდენიმე რომანსი სსრ კავშირის პირველმა და უკანასკნელმა პრეზიდენტმა მიხეილ გორბაჩოვმა.** მან გამოუშვა დისკი სახელწოდებით „სიმღერები რაისასთვის“, რომელზეც რაისა გორბაჩოვას შვიდი საყვარელი რომანსია ჩაწერილი. სიმღერების ჩაწერაში მიხეილ გორბაჩოვს დახმარება ანდრეი მაკარევიჩმა გაუწია. ალბომის გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი საქველმოქმედო მიზნებს მოხმარდება.

### ცხოველები... აუტიზმის წინააღმდეგ

**დიდი ხანია ცნობილია, რომ შინაურ ცხოველებს ჩვენი წნევის რეგულირება შეუძლიათ და გულის სისხლძარღვთა დაავადების საფრთხის თავიდან აცილების უნარიც შესწევთ.** ავსტრალიის ქალაქ კვინსლენდის უნივერსიტეტის მეცნიერებმა კვლევის შედეგად გამოიტანეს დასკვნა, რომ არცთუ შორეულ მომავალში ექიმები პაციენტებს წამლების გამოწერის მაგივრად ძაღლთან ან კატასთან ურთიერთობას ურჩევენ. მეცნიერებმა დაადგინეს, რომ შინაურ ცხოველებთან ურთიერთობა ხელს უწყობს აუტიზმით დაავადებულ ბავშვებში მეტყველების გაუმჯობესებას. ამასთან დაკავშირებით მეცნიერებმა გამოთქვეს აზრი, რომ საკითხის უკეთ შესასწავლად საჭიროა უფრო ფართომასშტაბიანი კვლევის ჩატარება.

**რეკლამა** გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
99-62-77; 899 32-85-76.

### ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი



| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.7077 ლარი |
| 1 ევრო | – 2.3267 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.6777 ლარი |
| 100 რუბლი | – 5.6508 ლარი |
| 1000 სომ. დრამა | – 4.4791 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.1259 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.1340 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.1274 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.4993 ლარი |



### ამინდი დღეს

| | |
|---|---|
| თბილისი. | +3 – +12 |
| ქუთაისი. | +8 – +17 |
| ბათუმი. | +10 – +15 |
| ზუგდიდი. | +6 – +14 |
| თელავი. | +3 – +12 |

## ანეკდოტები

**ტიპი ძმაკაცთან ტრაბახობს:**

**– როდესაც საახალწლოდ საზღვარგარეთ ვიყავით, ყველა ადგილობრივი მცხოვრები ჩემს ცოლს წმინდანად მიიჩნევდა.**

**– ვაჰ, რა მაგარია! მაინც რომელ ქვეყანაში იყავით?**

**– ინდოეთში...**

* * *



**მეაგარაკის ცხოვრება გამუდმებული ომია. ერთი მხრივ, ომი მეზობელთა ბავშვებთან, რომელთაც მისი ბაღი საკუთრად მიაჩნიათ და, მეორე მხრივ, თავის შვილებთან, რომლებიც ამ ბაღს თავისად არ მიიჩნევენ.**

* * *

**მიხო საოპერაციო მაგიდაზე წევს. ოპერაციის დაწყებამდე თავის ვაჟს, რომელმაც ეს ოპერაცია უნდა გააკეთოს, იგი ეუბნება:**

**– შვილო, არ დაგავიწყდეს, რომ თუ რამეში შეცდები და ამ ოპერაციას გადავყვები, დედაშენი უთუოდ შენთან მოისურვებს საცხოვრებლად გადმოსვლას.**

* * *

**ივანიჩი თავის ძმაკაცს ეუბნება:**

**– უნდა გამოგიტყდე, რომ ჰომოსექსუალი ვარ...**

**– ტფუ! ღმერთო ჩემო, ესე იგი ჰომოსექსუალთან მექინა?!**

## კადრი



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150.
ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77;
899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძობულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.